პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 279 (18821) კვირა, 4 დეკემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ განიხილეს საკითხი მრეწველობაში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის შემდგომი განვითარების და ეფექტიანობის ამაღლების შესახებ და მიიღეს შესაბამისი დადგენილებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „მრეწველობაში შრომის ორგანიზაციის და სტიმულირების ბრიგადული ფორმის შემდგომი განვითარების და ეფექტიანობის ამაღლების შესახებ“ აღნიშნულია, რომ თანამედროვე პირობებში საწარმოთა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, წარმოების მართვაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის და აღზრდის ერთ-ერთი მიმართულებაა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმა. ბრიგადები სულ უფრო მზარდ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი წარმოების შემდგომ ინტენსიფიკაციაში, პარტიის XXVI კრებულის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებაში, გვევლინებიან შრომითი კოლექტივების ძირითად საწარმოო და სოციალურ უჯრედად.

უკანასკნელ წლებში ვითარდება ახალი ტიპის — კომპლექსური და გამჯელი ბრიგადები, რომლებიც ერთიანი განწესით მუშაობენ და შრომა უნაზღაურდებათ საბოლოო შედეგების მიხედვით. ამ ბრიგადებში უფრო სწრაფი ტემპით იზრდება შრომის ნაყოფიერება, მცირდება სამუშაო დროის დანაკარგები, უფრო მომჭირნედ იხარჯება მატერიალური და შრომითი რესურსები, ისახება ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, დისციპლინის გამტკიცების შესაძლებლობა, მკვიდრდება ნამდვილი კოლექტივიზმის, ორმხრივი მომთხოვნელობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების სულისკვეთება.

ამასთანავე შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის განვითარებაში არის არსებითი ნაკლოვანებანი. მთელ რიგ დარგებში ბრიგადების შექმნა ატარებს ფორმალურ, კამპანიურ ხასიათს, წინა პლანზეა წამოწეული საქმის რაოდენობრივი მხარე, რაც ვნებს თვისებრივს.

არცთუ იშვიათად ბრიგადების დაკომპლექტებისას არ ეწევიან საჭირო მუშაობას შიდასაქარხნო დაგეგმვის, ტექნოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის, მისი ანაზღაურების სისტემათა გაუმჯობესებისათვის. ბევრ საწარმოში არ არის განსაზღვრული საამქროების, განყოფილებებისა და სამსახურების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა პასუხისმგებლობა ბრიგადების მაღალნაყოფიერი შრომის პირობების შექმნისათვის. მათი ორგანიზაციის დროს ხშირად არ ანიჭებენ ჯეროვან მნიშვნელობას ახსნა-განმარტებითს მუშაობას და მორალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. ნელა ხორციელდება პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების სტრუქტურის, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნა შრომის ბრიგადული ფორმის პირობებში. ყველგან როდი უზრუნველყოფილი იდეოლოგიური, ორგანიზატორული და სამეურნეო საქმიანობის მჭიდრო ერთიანობა. ყოველივე ეს ამცირებს შრომის კოლექტიური ორგანიზაციის დიდ შესაძლებლობებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა გულდასმით გაერკვნენ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის დანერგვის მდგომარეობაში, განახორციელონ მისი გეგმაზომიერი განვითარებისა და შედეგიანობის ამაღლების ღონისძიებანი. დასახულია წინადადება შეიქმნას ბრიგადების კოლექტივები ღრმა ანალიზის საფუძველზე, აუჩქარებლად განხორციელდეს წარმოების, შრომის ორგანიზაციის, მისი ნორმირებისა და ანაზღაურების სრულყოფის, ბრიგადების ოპტიმალური რიცხვისა და საბეობის განსაზღვრის საკერო ღონისძიებანი წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, ამასთან უპირატესობა მიენიჭოს კომპლექსურ და გამჭოლ ბრიგადებს. მეტი მზრუნველობა გვმართებს მუშათა მიერ მომიჯნავე სპეციალობათა დაუფლების, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. საჭიროა ბრიგადებს დროულად ეგზავნებოდეს პერსპექტიული და მიმდინარე საგეგმო დავალებანი, უზრუნველყოფილ იქნეს მათი შესრულება ნაკლები რაოდენობის მუშაკთა ძალებით. ბრიგადების საქმიანობა, როგორც წესი, უნდა ეფუძნებოდეს სამეურნეო ანგარიშის პრინციპების ფართოდ გამოყენებას, რომლის დროსაც შრომა ანაზღაურდება საბოლოო შედეგის მიხედვით და ხელფასის გაანაწილებისას გამოიყენებენ შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბრიგადირთა შერჩევასა და მომზადებას, მათი პროფესიული ოსტატობის დახვეწას, ეკონომიკური და პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებას. მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ საწარმოებში შეიქმნას ბრიგადირთა საბჭოები, ამაღლდეს მათი როლი თითოეული შრომითი კოლექტივის ცხოვრებაში.

რეკომენდებულია, იქ, სადაც ეს წარმოების ინტერესებით არის ნაკარნახევი, შეიყვანონ დიდი კომპლექსური ბრიგადების შემადგენლობაში ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და წარმოების ორგანიზატორები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა ყოველნაირად შეიწყოს ხელი ბრიგადებში იმ უფლებამოსილების რეალიზაციას, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ სსრ კავშირის კანონით „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“. დადგენილებით დასახულია განხორციელდეს ბრიგადებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების ღონისძიებანი, ფართოდ გავრცელდეს ბრიგადებში ინიციატივები და თანსწორნი, რომლებიც გამოიჩინეს მოსკოველებმა — „ერთი პროცენტით მეტი — ერთი დღით ადრე“, ლენინგრადელებმა—„თითოეულის მუშაობის მაღალი ხარისხიდან — კოლექტივის შრომის მაღალ ეფექტიანობამდე“, ხარკოველებმა — „ხუთწლიადის დავალებანი — რესურსების გაუდიდნელად“, ლატვიის შრომელებმა — „ყოველ სამუშაო ადგილზე შრომის მაღალი ხარისხისათვის“, სვერდლოვსკელებმა — „ბრიგადის ხუთწლიანი დავალება — ნაკლები შემადგენლობით“ და სხვ.

სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, საკავშირო პროფსაბჭო, პროფესიული კავშირების ცენტრალური კომიტეტები და საბჭოები მოწოდებული არიან ნიადაგ უწევდნენ ყოველმხრივ დახმარებას გაერთიანებებსა და საწარმოებს შრომის ბრიგადული ორგანიზაციის განვითარებისათვის მიმდინარე მთელი მუშაობის ორგანიზაციული და მეთოდიკური ხელმძღვანელობის დონის ამაღლებაში.

დასახულია წინადადება შეუსაბამონ შრომის ბრიგადული ორგანიზაციის მოთხოვნებს დარგობრივი ნორმები და შრომითი დანახარჯების ნორმატივები; ჩაიბან ამ მუშაობაში სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები. დროულად უზრუნველყონ გაერთიანებები და საწარმოები საჭირო ნორმატიული მასალებით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა სისტემატურად შეისწავლონ ახალი ტენდენციები და განსაზღვრონ შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის შემდგომი გაღვივითარების პერსპექტივები, მისი გავლენა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე, კადრების დენადობის შემცირებაზე. სახალხო მეურნეობის დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა დაიხვეწოს შრომის ახალი კოლექტიური ფორმების დანერგვის ექსპერიმენტები.

საუკეთესო გამოცდილების განზოგადებისა და პრომპაგანდის, გაერთიანებათა, საწარმოთა, სამინისტროთა მუშაკებისადმი სამეცნიერო- მეთოდიკური დახმარების გაწევის მიზნით მიზანშეწონილად არის მიჩნეული გაიხსნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მუდმივმოქმედი ექსპოზიცია, რომელიც გააშუქებს მოწინავე საწარმოთა მიღწევებს შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების კოლექტიური ფორმების განვითარების საქმეში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალა უფრო ღრმად ჩასწვდნენ გაერთიანებათა და საწარმოთა საქმიანობას შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმების დანერგვისათვის, აამაღლონ სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა, რათა შეიქმნას ბრიგადების მაღალხარისხოვანი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო პირობები, შემცირდეს ხელის შრომის წილი მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების, პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის საფუძველზე.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაპყრონ ძირეულ შრომითს კოლექტივებში ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებას. საჭიროა გაძლიერდეს პარტიული გავლენა ბრიგადებში, შეიქმნას პარტიული ჯგუფები, სადაც არის საამისო პირობები, წარმართოს მათი საქმიანობა ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის ჩამოყალიბების, შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის განვითარებისათვის, საგეგმო დავალებებისა და ნაკლისი სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად კოლექტივის წევრთა მაღალი პასუხისმგებლობის გამომუშავებისათვის.

რეკომენდებულია, შეიქმნას საქმიროებისამებრ საწარმოთა პირველადს ორგანიზაციებში პარტიული კომისიები, რომლებიც კონტროლს გაუწევენ ადმინისტრაციის საქმიანობას შრომის ბრიგადული ფორმის დანერგვისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო მოეწყოს 1984 წლს ბრიგადირთა დარგობრივი თათბირ-სემინარები პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკების მონაწილეობით, რომლებიც მიეძღვნება მუშაობის მოწინავე გამოცდილების გაზიარებას და შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმების შემდგომი განვითარების ამოცანებს.

ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, სსრ კავშირის გამომცემლობებს, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, საკავშირო საზოგადოება „ცოდნას“ წინადადება მიეცათ ღონძლიერ და არგუმენტირებულად გააშუქონ შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმების უპირატესობანი, სისტემატურად გაუწიონ პროპაგანდა მოწინავე ბრიგადების მუშაობას, დამჯერებლად ასახონ მათი გავლენა შრომის ნაყოფიერების ზრდის, ყველა სახეობის რესურსების ეფექტიანი გამოყენების, წარმოების მართვაში დემოკრატიული საწყისების განვითარების, დისციპლინის განმტკიცების, ადამიანის აღზრდის გაუმჯობესების უზრუნველყოფაზე.

* * *

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ამ საკითხზე, მიიღეს დადგენილება „მრეწველობაში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის შემდგომი განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“.

სსრ კავშირის უწყება-სამინისტროებსა და მოკავშირე რესპუბ-

(დასასრული მე-2 გვ.)

ხუთწლედი — წელი მესამე

კომუნისტური შრომის დამკვრელი

თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში მთელი ოცდაოთხი საათის განმავლობაში არ წყდება მუშაობა.

აქ ერთ დღე-ღამეში უზრუნველყოფენ 30 ათასამდე სალაპარაკო კავშირს რესპუბლიკისა თუ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქთან და რაიონულ ცენტრთან.

30 ათასი სალაპარაკო კავშირიდან 18 ათასზე მეტი ხელით სრულდება.

თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის მუშაკთა დევიზია: ხარისხიანი და კულტურული მომსახურება.

ცამეტი წელია სატელეფონო სადგურში მუშაობს ეინა ტალახაძე. მოწინავე კომუნისტი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კოლექტივში იგი კომუნისტური შრომის დამკვრელია.

ა. სააკოვის ფოტო.

რესპუბლიკის მოწინავე საწარმო

ტრანსფორმატორების პირველი დიდი პარტია გაგზავნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გელათის სატრანსფორმატორო ქარხნის კოლექტივმა. ეს საზღვარგარეთის 28-ე ქვეყანაა, სადაც გელათელები გზავნიან თავიანთ პროდუქციას.

გელათის სატრანსფორმატორო ქარხანა რესპუბლიკის მოწინავე საწარმოა. დღეისათვის იგი პროდუქციის 98,4 პროცენტს ხარისხის სახელმწიფო ნიშნით უშვებს. გადაწყვეტილია წლის დამლევამდე მთელიწონის იმის, რომ სპეციალური ხუთკუთხედით აღინიშნოს მთელი პროდუქცია.

ვადამდე!

თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ კოლექტივმა სამშობლოს უპატაჟა მიმდინარე წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულება. წლის დამდეგიდან გამოშვებულია 112 ათასი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება 7 პროცენტით გაიზარდა.

ამ წარმატებებს საწარმო, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ჩამორჩენილი იყო, უკავშირებს იმას, რომ დაინერგა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმა.

დარგის მოწინავე საწარმოთა გამოცდილებაზე დაყრდნობით აქ სიახლე უნერგავს ყოველისა, დანერგეს ძირითად წარმოებაში, იმ ქვედანაყოფებში, სადაც განსაკუთრებით იგრძნობოდა ჩამორჩენა დავალებათა შესრულებაში. მდგომარეობაც გამოსწორდა. შრომის ნაყოფიერება ამ კოლექტივში ცხრა თვის მანძილზე 10 პროცენტით გაიზარდა.

შრომის ეფექტიანობის ზრდას ხელს უწყობს ის, რომ ყოველ ბრიგადას ეძლევა სამეურნეო ანგარიშების მაჩვენებელი, რომლებიც პერიოდულად, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, იცვლება.

ახლა საწარმოში ერთიანი განწესით მომუშავე 15 ბრიგადაა. ეს მუშათა მთელი შემადგენლობის თითქმის ნახევარია.

უხვი მოსავლისათვის

ვმუშაობ აკურის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადის ბრიგადირად. ბრიგადა მრავალდარგოვანია. ვუვლით 104 ჰექტარ ვენახს, 1,5 ჰექტარ პამიდორს, 1 ჰექტარ ნივრის ნთესს, ერთ ჰექტარ ჭარხალს და სხვა.

დღეისათვის კურკოვანი ხილი ჩაბარებული გვაქვს 37 ტონა, ნაცვლად 26 ტონისა, პამიდორი 32 ტონა, ნაცვლად 26,3 ტონისა, ნიორი 8240 კილოგრამი, ნაცვლად 5500 კილოგრამისა, აბრეშუმის პარკი 1040 კილოგრამი, ნაცვლად 950 კილოგრამისა. თივა დამზადებული გვაქვს 23 ტონა, 4 ტონით მეტი საგეგმო დავალებაზე.

პირადად მე პირობა მქონდა მიცემული რაიონის ხელმძღვანელ ამხანაგების წინაშე, რომ ყურძნის საგარაუდო მოსავლის 90 პროცენტს მივყიდიდი სახელმწიფოს. სიტყვა საქმედ ვაქციე. ერთგულად მოვლილმა ვაზმა გამიმართლა შრომა, სახელმწიფო მარაგში 8740 კილოგრამი ყურძენი მივიტანე.

ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებებს ბრიგადა გადაჭარბებით ასრულებს.

ლ. ჯურღულაშვილი,

თელავის რაიონის აკურის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადის ბრიგადირი.

ციტრუსოვანთა ბაღებში

მახარაძე. (საკ. კორ.). აქვარელ მეციტრუსეთა და ციტრუსოვანთა გადამამუშავებელი წარმოების მუშაკთა პატრიოტულმა თანხლობამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მახარაძელ მეციტრუსეებში. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალი ენერგიით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება „ოქროს რთველის“ შემჭიდროებულ ვადებში დამთავრებისათვის.

ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი გ. თავაძე) მეციტრუსეებმა რაიონში პირველებმა დაიწყეს ქანდარინის კრეფა. ათეული ტონები გაუგზავნეს ქ. მოსკოვის მშრომელებს. სეზონში ურეკელი მეციტრუსეები დედაქალაქის მშრომელებს გაუგზავნიან სულ ცოტა 500 ტონა ლიმონს, მანდარინს, ფორთოხალს.

ციტრუსების კრეფა წარმატებით მიმდინარეობს სოფლების ნატანების, კონწკათის, შრომის, ძიმითისა და სხვა კოლმეურნეობებში, ნატანების ციტრუსოვანთა ექსპერიმენტალურ მეურნეობაში.

მახარაძელი მეციტრუსეები წელს 35 ათას ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს მისცემს ქვეყანას.

მშვიდობა დედამიწაზე

ეროვნული შერიგებისთვის

საქართველოს შრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ერთსულოვნად უჭერენ მხარს და მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას. საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ განცხადებაში ჩამოყალიბებულ გადაწყვეტილებებს რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლის მშრომელები აღიქვამენ, როგორც ღირსეულ პასუხს, რომლის მიზანია სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების უშიშროების უზრუნველყოფა.

საქართველიანი, დროული

ჩვენი საბჭოთა მეურნეობის მშრომელები, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, გულისწყრომით უარყოფენ რეიგანის ადმინისტრაციისა და ნატოს ბლოკის ავანტიურისტულ პოლიტიკას. უაღრესად სამართლიანად და დროულად მიგვაჩნია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთ ევროპაში დაიწყო საშუალო სიშორის ამერიკული რაკეტების განლაგება. ჩვენი ქვეყნის მტკიცე რეალისტური პოზიცია იწვევს სიამაყის გრძნობას ჩვენი ლენინური პარტიის, მისი მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსის გამო.

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის საძულველია ომი. შეიძლება ამან იქონია გავლენა, რომ ავირჩიე ყველაზე მშვიდობიანი პროფესია — მიწათმოქმედის პროფესია. ამასთან მესმის, რომ დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, მთელი ძალ-ღონე უნდა მოვახმაროთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

მთელი გულით გეწამს: მსოფლიოს ხალხები შეაჩერებენ, ისტორიის სანაგვეზე გადაისვრიან ყველა აგრესორს.

ა. ხეგბისკვერაძე,

ქობულეთის რაიონის ოჩხამურის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ალმშენებლობის კურსით

„საბჭოთა ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ასრულებს რა საბჭოთა ხალხის ნებას, იგი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა თავიდან აიცილოს ომის საფრთხე, შეუნარჩუნოს მშვიდობა ახლანდელ და მომავალ თაობებს“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის ეს სტრიქონები ნათლად გამოხატავენ ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის არსს.

ჩვენ, უფროსი თაობის ადამიანებს, გვახსოვს, თუ რა უბედურება მოჰყვა მეორე მსოფლიო ომს, რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა შან. სწორედ ამიტომ არის ესოდენ გასაგები ჩვენი მისწრაფება მშვიდობისადმი, რომ ჩვენს შვილებს არ მოუწიოთ ასეთი უბედურების, ტანჯვის გადატანა. ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელმა ადმინისტრაციამ და მისმა თანამოაზრე დასავლეთის ქვეყნებმა საოად უნდა აწონ-დაწონონ, თუ რა საფრთხეს უქმნის მათსავე ხალხებს, მთელ კაცობრიობას ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების გეგმების რეალიზაცია.

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის განცხადება თავისი სულისკვეთებით განსაკუთრებით ახლოსაა ჩვენთვის — მიწათმოქმედებისათვის, მეცხოველეებისათვის — ქვეყნად ყველაზე მშვიდობიანი პროფესიის ადამიანებისათვის. მე და ჩემი თანამოსაქმეები მხურვალედ ვუჭერთ მხარს და ვიწონებთ ჩვენი ლენინური პარტიის პოლიტიკას, სხვადასხვა სოციალისტური სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას. თავის მხრივ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რათა ჩვენი შრომით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ქვეყნის ეკონომიკა.

ნ. გედენიძე,

ხობის რაიონის სოფელ ახალბიბულის კოლმეურნეობის მწყველავი.

მიფრინავს „კოსმოს-1511“

1983 წლის 30 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1511“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

დაპირება უნდა შესრულდეს

გენერალური მოჯარის — სამტრედიის №2 ტრესტის (მმართველი — ა. დახუნდარიძე, მთავარი ინჟინერი — ა. ალფენიძე) მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ ქარხანა სრული სიმძლავრით პირველი იანვრისათვის გადასცენ საექსპლოატაციოდ. ეს დაპირება ლიტონი სიტყვა რომ არ გამოდგეს, საჭიროა სამუშაოების შემჭიდროებულ დროში შესრულება.

მაგრამ დამკვეთი ორგანიზაცია, საკავშირო კვების მრეწველობის სამინისტროს ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების (გენერალური დირექტორი — კ. გულუა) მუშაკები აქედანვე ეკვნენენ — მშენებლებს მუშაობის ამ ტემპით პირობის განაღდება გაუჭირდებათ! საქმის გასწავრთ, რომ წლეულს მშენებლებს 400 ათასი მანეთი უნდა აეთვისებინათ, მაგრამ ათვისებულია ნახევარი—202 ათასი მანეთი. მრავალი ძვირად ღირებული მანქანა-დანადგარი დაუმონტაჟებელია, ზოგიერთი დანადგარი კი ღია ცის ქვეშ დგას.

გენერალურ მოიჯარეებთან ერთად დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ ქვემოიჯარადე ორგანიზაციებს, რომელთა შორის მთავარია სამტრედიის №10 სამონტაჟო ტრესტი. ჩვენ ვესაუბრეთ ტრესტის მმართველს ლევან ყიფიანს, რომელიც დაგვპირდა, რომ ტრესტის მემონტაჟეები ყველაფერს იღონებენ პირველ იანვრამდე სამუშაოების დამთავრებისათვის.

როგორც ცნობილია, ამჟამად საგანგებო ყურადღება ეთმობა მანქანათმშენებლობას. მახარაძის ჩაის წარმოების მანქანათსაშენებელი ქარხნის მთავარი ინჟინერი, **ზ. რუსიძე** — **სამუშაოთა მწარმოებელი, თ. ბერიძე** — **საკავშირო კვების მრეწველობის სამინისტროს ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მთავარი ინჟინერი, თ. ბერიშვილი** — **მშენებარე ქარხნის დირექტორი, თ. გოგობერიშვილი** — **პარტიის მახარაძის რაიკომის ტრანსპორტის და მრეწველობის განყოფილების გამგე, ბ. ჩხაიძე** — **„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.**

გაზეთ „კომუნისტის“ საბუშაგო: **ო. მხეიძე** — **ქარხნის მშენებლობის. მოწინავე მემონტაჟე, ო. გიორგაძე** — **მშენებელი მთავარი ბრიგადის ბრიგადირი, ზ. რუსიძე** — **სამუშაოთა მწარმოებელი, თ. ბერიძე** — **საკავშირო კვების მრეწველობის სამინისტროს ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მთავარი ინჟინერი, თ. ბერიშვილი** — **მშენებარე ქარხნის დირექტორი, თ. გოგობერიშვილი** — **პარტიის მახარაძის რაიკომის ტრანსპორტის და მრეწველობის განყოფილების გამგე, ბ. ჩხაიძე** — **„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.**

მეგობრულ ვიზიტად

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲚᲘ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ მოსკოვში ხანმოკლე სამუშაო ვიზიტად იმყოფებოდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ოლშოვსკი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოსა და ს. ოლშოვსკის შორის გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც განხილეს ზოგიერთი აქტუალური საერთაშორისო პრობლემა და საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის საკითხები.

მხარეებმა გულისწყრომით დაგმეს ამერიკის ადმინისტრაციისა და მისი თანამდგომი ნატოს ქვეყნების მილიტარისტული კურსი, აღნიშნეს, რომ ამ კურსს სამაში შედეგები მოაქვს მსოფლიოს ბედისათვის, უწინარეს ყოვლისა, ევროპის მშვიდობისათვის.

საუბრისას თქვა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისისა და იტალიის ტერიტორიაზე საშუალო სიშორის ამერიკული რაკეტების განლაგების დაწყებასთან დაკავშირებით საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავების პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ი. ვ. ანდროპოვის 24 ნოემბრის განცხადებას.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს საბჭოთა კავშირის განცხადებაში ჩამოყალიბებული პოზიციის კონსტრუქციულ ხასიათს და ამასთანავე აღნიშნეს, რომ შექმნილი მდგომარეობისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ამერიკის შეერთებული შტატების და ნატოს ამ სახელმწიფოების მთავრობებს, რომლებიც დათანხმდნენ განლაგებინათ ამერიკული ტერიტორიაზე. იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირენი ცდილობენ თავიანთ სასარგებლოდ შეცვალონ ძალების დამკვიდრებული წონასწორობა, სსრ კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა განახორციელეს სათანადო ღონისძიებანი, რომელებსაც იძულებითი ხასიათი აქვს და რომლებიც სერიოზული გაფრთხილებაა ნატოს ქვეყნების მთავრობებისათვის.

ა. ა. გრომიკომ ხაზი გაუსვა, რომ დასავლეთში გაისმის ხმები, თითქოს საბჭოთა კავშირი მზად იყოს განაახლოს ჟენევის მოლაპარაკება საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების საკითხებზე მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში დაიწყო ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგება. მან აღნიშნა, რომ, როგორც ი. ვ. ანდროპოვმა განაცხადა, საბჭოთა კავშირი მზად არის გააკეთოს ეს, თუ ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოს სხვა ქვეყნები გამოიჩენენ მზადყოფნას დაუბრუნდნენ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა ევროპაში საშუალო სიშორის ამერიკული რაკეტების განლაგების დაწყებამდე.

ს. ოლშოვსკიმ თქვა, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა თავის ტერიტორიაზე. იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირენი ცდილობენ თავიანთ სასარგებლოდ შეცვალონ ძალების დამკვიდრებული წონასწორობა, სსრ კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა განახორციელეს სათანადო ღონისძიებანი, რომელებსაც იძულებითი ხასიათი აქვს და რომლებიც სერიოზული გაფრთხილებაა ნატოს ქვეყნების მთავრობისათვის.

ა. ა. გრომიკომ ხაზი გაუსვა, რომ დასავლეთში გაისმის ხმები, თითქოს საბჭოთა კავშირი მზად იყოს განაახლოს ჟენევის მოლაპარაკება საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების საკითხებზე მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში დაიწყო ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგება. მან აღნიშნა, რომ, როგორც ი. ვ. ანდროპოვმა განაცხადა, საბჭოთა კავშირი მზად არის გააკეთოს ეს, თუ ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოს სხვა ქვეყნები გამოიჩენენ მზადყოფნას დაუბრუნდნენ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა ევროპაში საშუალო სიშორის ამერიკული რაკეტების განლაგების დაწყებამდე.

ს. ოლშოვსკიმ თქვა, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია უზრუნველყონ თავიანთი უშიშროება და სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის უშიშროება. ნატოს მხრივ გაძლიერებული ომის საფრთხის პირობებში პოლონეთს თავისი საგარეო პოლიტიკის ძირითად მოცანად მიაჩნია განამტკიცოს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების შეკავშირება, ხელშეკრულებისა, რომელიც პოლონეთის სამართლიანი სახელმწიფო საზღვრების სიმყიდო გარანტს წარმოადგენს.

მხარეებმა დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების ბარბაროსული თავდასხმა გრენადაზე, ამ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

(დასასრული)

ლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ პროფესიული კავშირების ცენტრალურ კომიტეტებთან და რესპუბლიკურ საბჭოებთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებში დაგეგმვისა და ადრიცხვის სისტემის გარდაქმნის, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის სრულყოფის, აგრეთვე ბრიგადების საინჟინრო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებანი, რათა შეიქმნას ბრიგადების სტაბილური და მაღალეფექტიანი მუშაობის საჭირო პირობები.

საჭიროდ არის მიჩნეული ბრიგადების მუშაობის შედეგებისდა მიხედვით წარმოებდეს საამქროებისა და საწარმოო უბნების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა პრემირება.

მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი, რათა შეიქმნას ახალი ბრიგადები, გაუმჯობესდეს მოქმედი ბრიგადების მუშაობა, ამაღლდეს მათი საქმიანობის ეფექტიანობა, ამასთან შეუსაბამონ აღნიშნული კომპლექსი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის მიმდინარე ღონისძიებებს.

გამოიყენონ, სადაც წარმოების პირობები იძლევა საამისო შესაძლებლობას, საამქროს, უბნის ბრიგადის მუშაობის დაგეგმვის მაჩვენებელთა ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ყოველ ბრიგადას გაეცნოს პერსპექტიული და მიმდინარე (ერთი თვის) საგეგმო დავალებანი ნატურალური განზომილებებით ან სპეციალურად შემუშავებული საგეგმო-საარიცხვო ერთეულებით (ბრიგადკომპლექტები, კვანძები და ა. შ.). რეკომენდებულია, გათვალისწინებულ იქნეს კოლექტიური ხელშეკრულებებით ადმინისტრაციის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივებისა და პროფკავშირული კომიტეტების ურთიერთვალდებულებანი შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება მიანიჭეს შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით ნება დართონ მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს, რომ მათთვის დადგენილი ხელფასის ფონდების ფარგლებში:

გაუდიდონ ძირითადი სამუშაოსაგან გაუთავისუფლებელ ბრიგადირებს მუშათა რიცხვიდან სამეურნეო ანგარიშზე (ბრიგადულ ჯარაზე) გადაყვანილი ბრიგადის ხელმძღვანელობისათვის სართის ოდენობა, აგრეთვე 15 კაცზე მეტი რიცხოვნობის ბრიგადის ხელმძღვანელობისათვის სართის ოდენობა ბრიგადის გამომუშავების თანხის 2 პროცენტამდე (პრემის გარდა), ოღონდ, არა უმეტეს 40 მანეთისა თვეში. გადიდებული ოდენობის სართი გაიცემა იმ პირობით, თუ ბრიგადა შეასრულებს საწარმოო დავალებებს და უზრუნველყოფს გამოშვებული პროდუქციის მაღალ ხარისხს.

დაუწესონ სართი ძირითადი სამუშაოსაგან გაუთავისუფლებელ მერგოლურებს მუშათა რიცხვიდან, როცა რგოლის რიცხოვნობა შეადგენს 5 და მეტ კაცს, ბრიგადირისათვის გათვალისწინებული სართის 50 პროცენტის ოდენობით, იმ პირობით, თუ ბრიგადა შეასრულებს საწარმოო დავალებებს და უზრუნველყოფს გამოშვებული პროდუქციის მაღალ ხარისხს.

დაუწესონ საწარმოო უბნების ოსტატებს, აგრეთვე შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების დარგის ინჟინრებს მაღალი კვალიფიკაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდის ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელების თვის დანამატი თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე, რომელიც მიიღება შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის დანერგვის შედეგად.

მრეწველობის საწარმოო ბრიგადებს, რომლებიც შრომის სანარდო ანაზღაურებაზე იმყოფებიან, მიეცათ უფლება გაუფდონ სართი შეგირდებს მოქმედი დებულებებით დაწესებული ოდენობის დამატებით. ამ სართის გადიდების ოდენობას განსაზღვრავს ბრიგადის კოლექტივი შრომის საერთო შედეგებში შეგირდის წვლილის გათვალისწინებით და ბრიგადის სანარდო **გამომუშავების ფარგლებში.**

სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ მოაწყონ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის შესწავლა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებში და უშუალოდ წარმოებაში კვალიფიციურ მუშათა მომზადებისას, უზრუნველყონ საამისოდ საჭირო მეთოდიკური მასალებისა და დამხმარე სასწავლო საშუალებების გამოშვება.

დადგენილია, რომ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს მიამაგრებენ კონკრეტულ ბრიგადებს გამოშვებისწინა საწარმოო პრაქტიკის დაწყებისას.

სსრ კავშირის სამინისტროებს წინადადება მიეცათ განსაზღვრონ საბაზო გაერთიანებანი, საწარმოები, სადაც დაიხვეწება შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ყველაზე ეფექტიანი ბრიგადული ფორმები, შეისწავლიან სპეციალისტებსა და ბრიგადირებს მუშაობის მოწინავე გამოცდილებას.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაინტერესებულ უწყება-სამინისტროებთან ერთად დაევალა მოაწყოს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლების შემციერებული ვადებით (წარმოებას მოწყვეტით და მოუწყვეტლივ) წარმოების ინჟინერ-ორგანიზატორთა მომზადება კვალიფიციურ მუშათა რიცხვიდან, რომლებმაც ბრიგადირებად იმუშავეს სულ ცოტა სამ წელიწადს, ამასთან აქვთ საშუალო სპეციალური ან არასრული უმაღლესი განათლება, და წარმოების ტექნიკოს-ორგანიზატორებისა, რომლებსაც აქვთ სრული საშუალო განათლება.

საჭიროდ არის მიჩნეული უზრუნველყოფილ იქნეს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ტექნიკურ და ეკონომიკურ სპეციალობათა დარგის სპეციალისტთა მომზადებისას შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის შესწავლა, აგრეთვე საწარმოო პრაქტიკის გავლა უშუალოდ ბრიგადებში.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს და საკავშირო პროფსაბჭოს დაევალათ სისტემატურად გააანალიზონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოწინავე ბრიგადების მუშაობის გამოცდილება, გამოავლინონ ბრიგადული ორგანიზაციისა და შრომის სტიმულირების ახალი, ყველაზე ეფექტიანი ფორმები, განახორციელონ მათი ფართოდ გავრცელების ღონისძიებანი.

იმ მიზნით, რომ შესწავლილ იქნეს შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის სრულყოფის სამეცნიერო-შეთოდიკური და ორგანიზაციული პრობლემები და კოორდინაცია გაეწიოს უწყება-სამინისტროთა მუშაობას ამ დარგში, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან იქმნება საუწყებო საბჭო, რომელშიც შეივლენ საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს წარმომადგენლები.

სურათზე: სვანეთის კოშკები.

ს. კილაძის ფოტო.

ყველაფერი გზით იწყება

კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ სვანები — ქართველთა განსაკუთრებული ეთნიკური ჯგუფი. მათი მთავარი ტრადიციული საქმიანობაა სამთო მესაქონლეობა. მიუჩვეველ კაცს შეეზარავს კიდეც იმ ფრიალოების შეხედვა, სადაც სვანები საქონელს აძოვებენ და ზამთრისათვის თივას ამზადებენ. როცა საჭირო იყო, მესაქონლეები მეომრები ხდებოდნენ, დიდ სამამულო ომში სვანებმა უმნიშვნელო როლი როდი შეასრულეს კავკასიის დაცვაში. ისინი ჩვენს ჯარს ეხმარებოდნენ კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილების ჩაკეტვაში, რომლებსაც მიტლერის ალპური ნაწილები ვერა და ვერ გადმოსცდნენ.

ზღვის დონიდან 850 მეტრზე მდებარე დაბა ლენტეხში, სვანეთის ორიდან ერთ-ერთი რაიონის ცენტრში ბურამ გუნაბასთან, პარტიის რაიკომის პირველ მდივანთან შესახვედრად ჩამოვედი.

მაინც, რა გააკეთა გუნავამ?

სულ რამდენიმე წლის წინათ ბევრს ეგონა, რომ ლენტეხის რაიონს არავითარი ეკონომიკური მომავალი არა აქვს. ასეთ პესიმიზმს საფუძველიც ჰქონდა: სამთო მესაქონლეობა ძალზე ზარალიანი იყო, საკუთარი საკვები არ ჰყოფნიდათ, პროდუქტიულობა სასაცილოდ მცირე გახლდათ და შთამომავლობით მესაქონლეები მიწას ტოვებდნენ.

თითქოს არავითარი საბაბი არ იყო, რაიმე დაებრალებინათ რაიონის ძველი ხელმძღვანელებისათვის: სვანეთში მეურნეობის გაძღოლის პირობები ძალზე რთული ია. რა უნდა თქვა მთის საძოვრებზე, როცა საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქიდან — ქუთაისიდან ლენტეხამდე 90 კილომეტრიან გზას საუკეთესო დროსაც კი ავტომობილით ოთხ საათს უნდებოდნენ. მაგრამ რაიონის ეს საუკეთესო გზაც წამდაუწუმ ჩაიკეტებოდა ხოლმე: ხან მდინარე ადიდდებოდა, ხან თოვლის ზვავი ჩამოწვებოდა, ხან ქვა ცვიოდა. თვით რაიონი კი ძირითადად თავის ცენტრზე უფრო მაღლა მდებარეობს. მთის სოფლებამდე და ალპურ მდელოებამდე გზები, არსებითად, საერთოდ არ იყო.

და მოჯადოებული წრე შეიკრა: უგზოობა მეურნეობის განვითარებას აბრკოლებდა, ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე კი საეჭვოს ხდიდა გზების შენებლობის მიზანშეწონლობას, რომელთა გაყვანა მთის პირობებში ძნელია და ძვირი ჯდება.

მეორე მხრივ, ყველასთვის ნათელი იყო, რომ უნდა შეენარჩუნებინათ სვანების მამაპაპური მიწა. მაგრამ შესაძლებელია ეს, თუ რაიონი მარტოოდენ მთასაღელობის ცენტრად დარჩება?

საეჭვოა.

გუნავამ გადაწყვიტა გაერკვია ეს მოჯადოებული წრე. რესპუბლიკურმა პარტიულმა ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა, უნდა გადაწყვეტილიყო ორი ერთნაირი ამოცანა: აღმოეფხვრათ რაიონის მეურნეობის ზარალიანობა, უწინარეს ყოვლისა, სამთო მესაქონლეობაში (70-იანი წლების პირველ ნახევარში ამ დარგის ყოველწლიური ზარალი დაახლოებით მილიონნახევარ მანეთს შეადგენდა), დაემტკიცებინათ მისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა და გამოეყვანათ სოციალური პრობლემების ჩიხიდან. ან, პირიქით: გადაეწყვიტათ ყველაზე საარსებო სოციალური საკითხები, ამ გზით შეეწყვიტათ მოსახლეობის გახიზნვა, დაეწყვინებინათ ადამიანები პერსპექტივაში და ამის შემდეგ შესდგომოდნენ ეკონომიკის აღორძინებას.

— იმითავითვე ნათელი იყო, — ამბობს გურამ გუნავა, — რომ პირველი რგოლი გზებია, უამისოდ ყველაფერი დანარჩენი ლაყბობისა და კეთილი სურვილების სტადიაში დარჩებოდა. და ჩვენც რესპუბლიკური ორგანიზაციების დახმარებით ხელი მივყავით გზების გაყვანას.

შედეგები მე ვნახე. ქუთაისიდან ლენტეხამდე ნამდვილი გზატკეცილი გადაუჭიმიათ. ახლა გზას ძველებურად ოთხ საათს კი არა, სულ საათ-ნახევარს მოუნდებით. თანაც, ეს გზა მთელი წლის მანძილზე მოქმედებს. ყოველ სოფელთან და საძოვართან მიიყვანეს გზები, რომლებიც იმ მთავარს ვერ შეედრება, მაგრამ მგზავრობა შეიძლება. მთიელებმა სამყაროსთან რეალური კავშირი იგრძნეს. გაჩნდა საძოვრებად და სათიბებად ახალი მიწების ათვისების შესაძლებლობა. თუორმე, რაიონს სავსებით შეუძლია უზრუნველყოს თავისი თავი საკუთარი საკვებით, მიუხედავად იმისა, რომ ჯოგი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ძრობა, ცხვარი და თხა წლის მანძილზე ოთხ თვეს (ივნისიდან ოქტომბრის დამდეგამდე) ალპურ მდელოებზე აბარებს. გამოსაზამთრებლად საჭიროა სადგომები და საკვების მარაგი. თითო ძროხაზე 1,2 ტონა თივა, რომელსაც ასევე შენახვა სჭირდება.

გზები, ახალი საძოვრები და სათიბები, პირუტყვის სადგომები და საკვების ფარდულები... რგოლი რგოლს ემატებოდა. პრინციპულად დამტკიცდა, რომ მეურნეობის რენტაბელური გაძღოლა შესაძლებელი იყო. მაგრამ როგორ მოეხდინათ ამ შესაძლებლობის რეალიზაცია?

სვანებს ძალიან უყვართ მშობლიური ადგილები და თავიანთი ტრადიციული საქმიანობა. მაგრამ ახალგაზრდობა, რომელიც ლენტეხის რაიონიდან სასწავლებლად მიდის, ჩვეულებრივ, უკან აღარ ბრუნდება. ნასწავლ ხალხს აღარ სურდა თვეების მანძილზე ბოლორებული ცხოვრება, ვერ ურიგდებოდნენ მცირე ხელფასს და გრძელი ზამთრის უსაქმეობას.

— როცა გავაკეთეთ ის, რაზეც გესაუბრეთ, ჩვენ ვთქვეთ „ანი“, რასაც თან უნდა მოჰყოლოდა „ბანი“ და ყველა სხვა ასო ანბანის ბოლომდე, — ამბობს გუნავა. — აი პრობლემები, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვდა: ბინები, მთელი წლის მანძილზე დასაქმება, შემოსავალი, შრომის შედეგებით დაინტერესება...

იმ დროს, როცა რაიონის დავალიანება სახელმწიფოს წინაშე ყოველწლიურად მილიონ-ნახევარი მანეთით მატულობდა, ძროხებს საშუალოდ 170-180 კილოგრამი წონისას აბარებდნენ, წველადობა 600 კილოგრამს არ აღემატებოდა. თანაც, შემოტანილი საკვებით! აქედან გამომდინარეობდა შემოსავალიც: საშუალო სამუშაო დღეში ორ მანეთზე ნაკლები.

— ყველაზე სამწუხარო ის გახლდათ, რომ ხალხი ამას შეეჩვია, — გვეუბნება გურამი. — მომლილ მეურნეობასაც, მცირე პროდუქტიულობასაც, ზარალსაც და დოტაციებსაც.

აქ გამახსენდა, რომ მირჩიეს: როცა გუნავას ელაპარაკები, თვალყური ადევნე, ერთ ადგილას ვერ ისვენებს, საკმარისია ჩაფიქრდე, თვალიდან დაგეკარგებაო.

თითქოს მიმიხვდაო, განაგრძო:

— აქ კაბინეტში ჯდომა არ შეიძლება. ძნელი პირობებია: მთები, ქარი, ყინვა, წყალდიდობა. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ, ხელმძღვანელები, მათს სიძნელეებს ვიზიარებთ. ამიტომაც ყველანი ერთ, საერთო საქმეს ვაკეთებთ. კონკრეტული დახმარება, მწყობრი ორგანიზაცია, ყოველდღიური კონტროლი — უამისოდ არ შეიძლება.

ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ გუნავა რაიონში ყველას იცნობდა. არა მარტო სახელი იცოდა, არამედ ისიც, თუ როგორ მუშაობს, რამდენი თივა დაამზადა, როგორ სწავლობენ მისი შვილები, როგორ გრძნობს თავს ცოლი, როგორ მიდის სახლის შეკეთების საქმე... მასაც ყველანი იცნობენ. და არავის არც აკვირვებს, არც აღიზიანებს გაუთავებელი შეკითხვები, რომლებსაც იგი იძლევა და. რომლებზეც მკაფიო პასუხს მოითხოვს. ძნელი სათქმელია, გამოდგება თუ არა ხელმძღვანელობის ასეთი სტილი სხვა რაიონებში. მაგრამ ლენტეხში ამის ნაყოფი აშკარად ჩანს.

მესაქონლეობა, რომელმაც გაორკეცება პროდუქტიულობა და გარედან აღარ შემოაქვს საკვები, რენტაბელური გახდა. მეცხოველეთა შემოსავალმა სამჯერ და მეტად იმატა. რაიონული ცენტრი პატარა, მაგრამ სუფთა და კეთილმოწყობილ ქალაქად გადაიქცა. საბჭოთა მეურნეობების დასახლებანიც წელში გაიმართნენ. მოსახლეობის გახიზნვა შეწყდა. ნელა, მაგრამ თვალნათლივ დაიწყო უკუპროცესი: ხალხი უკან ბრუნდებოდა. რაიონს არასოდეს არ ჰყოფნდა ექიმებიც, ვეტერინარები, ზოოტექნიკოსები, მასწავლებლები და სხვა სპეციალისტები, ახლა საკმარისად ჰყავს. დაიწყო მრეწველობის — სამთო-ქიმიური და სამკერვალო მრეწველობის, მარმარილოს მოპოვების განვითარება. პირველი ნაბიჯები გადადგეს სატბორე მეთევზეობასა და ნუტრიის მოშენებაში. თანდათან კლებულობს სეზონური ცვლილებანი დასაქმებისა და შემოსავლის მხრივ. მოგვარდა ტელეგადაცემათა რეგულარული მიღება. გაზრდილმა შემოსავალმა და გზებმა გაზარდა მოთხოვნა ავტომობილებზე.

რა თქმა უნდა, გულუბრყვილობა იქნებოდა მთელი დამსახურება ბურამ გუნავასთვის მიგვეწერა. და მაინც ფაქტია: ლენტეხში ეს დიდი გარდაქმნები სწორედ ექვსი წლის წინათ დაიწყო, როცა იგი პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს. რაც მის დროს გაკეთდა, ალბათ, ადრეც შეიძლებოდა გაკეთებულიყო, არაფრისაგან ვერც გუნავა მიიღებდა რაიმეს. მაგრამ მან უკან არ დაიხია იქ, სადაც სხვანი შეყოვნდნენ, და საქმით დაუმტკიცა ხალხს, რომ სერიოზული ზრახვები ჰქონდა. სადაც უნდა მოუხდეს მას შემდგომში მუშაობა, ლენტეხში სამუდამოდ დარჩება მისი საქმიანობის კეთილი კვალი. და სხვა მთიანი რაიონებისათვის მისაბაძი მაგალითიც.

ალექსანდრე გუბერი.

„მოსკოვსკაია ნოვოსტი“,

1983 წ. 20 XI. № 47.

კარგი განწყობილების ოსტატები

რესპუბლიკის ქორეოგრაფიული, ვოკალური, ინსტრუმენტული, საგუნდო თვითმოქმედი კოლექტივები დღეს ათასობით მშრომელს აერთიანებენ. ბევრი მათგანის მაღალი საშემსრულებლო დონე ცხადყო მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებებმა, კონკურსებმა, ფესტივალებმა, ოლიმპიადებმა, აგრეთვე არაერთგზისმა. გამოსვლებმა ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ საქმეში შემოქმედებითი კოლექტივების ხელმძღვანელებს, რომელთა უმრავლესობას შეადგენენ რესპუბლიკაში არსებული ოთხი მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი — თბილისის, ქუთაისის, სოხუმისა და ბათუმის სასწავლებელთა კერძოდამთავრებულნი.

თბილისში გაიმართა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ მოწყობილი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების საკავშირო თათბირ-სემინარი, რომელიც მიეძღვნა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

სემინარის მონაწილენი — რუსეთის სხვადასხვა ქალაქის, თურქმენეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის წარმომადგენელი სპეციალისტები ორ დღეს ეცნობოდნენ ქართველი კოლეგების მუშაობის გამოცდილებას, განიხილავდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა როლის ამაღლების საკითხებს.

შეთუშავებულია რეკომენდაციები „კარგი განწყობილების ოსტატთა“ ესთეტიკური, იდეურ-ზნეობრივი აღზრდისათვის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

უცხოელი ჟურნალისტები საქართველოში

ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებას ხუთ დღეს ეცნობოდა მოსკოვში აკრედიტებულ უცხოელ ჟურნალისტთა ჯგუფი. სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობანი, იმოგზაურეს თელავში, შეხვდნენ თავიანთ კოლეგებს რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირში, სოხუმში ჭონდათ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომში, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტში.

თბილისიდან გამგზავრების წინ საზღვარგარეთელმა ჟურნალისტებმა თავიანთი შთაბეჭდილებანი გაუზიარეს საქინფორმის კორესპონდენტს.

პირველთა და მოსწავლეთა სასახლეში ნანახი ბავშვთა ბრწყინვალე კონცერტი საქართველოსთან ჩვენი ნაცნობობის დამაგვირგვინებელი აკორდი გახდა. პირდაპირ ოტაციებული ვარ! — თქვა გაზეთ „ჟურიერ პოლსკის“ კორესპონდენტმა იანინა მროზუევა-სტანკევიჩმა, — ჩვენ ყველას გვეგონა, რომ ბევრი რამ ვიცოდით საქართველოზე, მაგრამ სონამდეოლემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აქ ყველაფერი მომეწონა — ლამაზი და გულღვეთილი ადამიანები დაწყებული და რესპუბლიკის გასაოცარი ბუნებით, მისი ხალხის მდიდარი კულტურით დამთავრებული. მივდიოვარ და თან მიმყვება საუკეთესო შთაბეჭდილება. მინდა დავწერო თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, საქართველოს კულტურული ცხოვრების ის, და თქმა უნდა, მისი ადამიანების შესახებ.

—მე ყოველდღე მიხდება გავლა მოსკოვის გრუზინსკის შესახვევში—იქ ხომ ჩვენი კორპუნქტი მდებარეობს, მაგრამ საქართველოში პირველად მოვხვდი, — თქვა კანადის რადიო-სატელევიზიო კორპორაციის კორესპონდენტმა იან ლორიოვსკიმ. — ჩვენი მოგზაურობა საუცხოოდ იყო ორგანიზებული. და ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის ეს ხომ არა მარტო გასაცნობი, არამედ სამუშაო ვიზიტიც იყო. თუმცა, როგორც ტურისტმაც, უდიდესი კმაყოფილება მივიღე: საქართველოში არის ზღვა, მთები, არის სტუმრმასპინძლობის დიდებული ტრადიცია, მეტი რა უნდა ტურისტს! ძალიან მინდა დავწერო ამაზე, თუ რაოდენ სათუთად ეკიდებიან საქართველოს ქალაქებში არქიტექტურისა და კულტურის ძეგლებს, გარდა ამისა, მინდა ისტორიის ნარკვევების სერია მივუძღვნა ქართველი ხალხის ტრადიციებსა და დღევანდელ ცხოვრებას. (საქინფორმი).

სოციალური დაზღვევა და პროფკავშირები

ათასობით თბილისელი გაეცნო საკავშირო პროფსაბჭოს თემატიკურ გამოფენას „სსრ კავშირის სოციალური დაზღვევა და პროფკავშირები“, რომელიც საქართველოს დედაქალაქში მოეწყო.

ექსპოზიციაში წარმოდგენილმა მასალებმა თვალნათლივ ცხადყვეს პროფკავშირების როლი სოციალური დაზღვევის სფეროში, რომელმაც მსოფლიოში პირველმა მოიცვა ქვეყნის პრაქტიკულად ყველა მშრომელი.

უახლოეს დღეებში თემატიკური მოძრავი გამოფენის ექსპონატებს გაეცნობიან ქვეყნის სხვა ქალაქების მცხოვრებნი.

(საქინფორმი).

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების სესიებზე

თბილისი

გაიმართა ქალაქ თბილისის კალინინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიამ გაათავისუფლა ამხ. ხ. ვ. ხატაიშვილი ქ. თბილისის კალინინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეობის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო.

ქ. თბილისის კალინინის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ზ. ა. კანნიაშვილი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილებაში მუშაობდა.

ცხინვალი

გაიმართა ცხინვალის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიამ გაათავისუფლა ამხ. გ. ი. გაგიევი ცხინვალის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო.

ცხინვალის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. რ. ა. ჩოჩიევი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცხინვალის რაიკომის მდივნად მუშაობდა.

ლანჩხუთი

გაიმართა ლანჩხუთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიამ გაათავისუფლა ამხ. ჯ. შ. ცინცაძე ლანჩხუთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო.

ლანჩხუთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. თ. ა. გუგუნავა, რომელიც საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა.

დმანისი

გაიმართა დმანისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც ორგანიზაციული საკითხები განიხილა.

სესიამ გაათავისუფლა ამხ. ფ. მ. გაჯიევი დმანისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის მსმენელად ჩარიცხვის გამო.

დმანისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ყ. ჭ. ნაბიევი, რომელიც მუშაობდა დმანისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ — რაისაბჭოს საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ.

თერჯოლა

გაიმართა თერჯოლის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიამ გაათავისუფლა ამხ. ვ. ნ. ხუჯაძე თერჯოლის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პენსიაში გასვლის გამო.

თერჯოლის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ნ. ი. ჭოჩიაშვილი, რომელიც საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა. (საქინფორმი).



განახლებაზე ზრუნვით

დღეს ვის არ ხიბლავს თბილისის რესტავრირებული, სიცოცხლეს დაბრუნებული ძველი უბნები. ბევრმა შეიძლება არც იცოდეს, რომ დღეისათვის ამ მეტად საშვილიშვილო და კეთილშობილურ საქმეს ემსახურება ახლად ჩამოყალიბებული თბილისის ძველი უბნებისა და შენობების რემონტისა და რესტავრაციის სპეციალიზებული ტრესტი (მმართველი როლნად ჩაიაიე). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ტრესტის შექმნამდე არსებობდა ფასადების რემონტისა და რესტავრაციის სამმართველო, რომლის კოლექტივმა ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი საქმეთა ანდერძი დაგვიტოვა. ეკერძოდ, რეკონსტრუქცია-რესტავრაციის საშუაოები ჩაუტარა ახუნდოვის სახლ-მუზეუმს, მეტეხის პლატოზე მდებარე სასტუმროს, ბარათაშვილის სახლ-მუზეუმს, განაახლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შენობის, ქარვასლის, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე შენობების ფასადები. უკანასკნელ ხანს კი რესპუბლიკის მოედანზე მრავალმხრივი მოსახერხებელი სამუშაოები განახორციელეს.

ტრესტის ჩამოყალიბებას (მასში გაერთიანებულია ორი სამმართველო) ის უპირატესობა აქვს, რომ ძველი თბილისის უბნებისა და შენობების სარესტავრაციო, აგრეთვე ქალაქის შენობა-ნაგებობების ფასადების შეკეთების სამუშაოებმა ერთ ორგანიზაციაში მოიყარა თავი, ადრე კი ამაზე დასაქმებული იყვნენ სხვადასხვა ცალკეული სამშენებლო დაწესებულებები. იმისათვის, რომ ტრესტმა მომავალში მიზანმიმართულად წარმართოს მუშაობა, საჭიროა შესაბამისმა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა დროულად შეძლონ ტრესტისათვის საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის, აგრეთვე მანქანა-მექანიზმების, ნაგებგარ-მოწყობილობისა და მასალების მიწოდება.

ტრესტის შემდგომი ნაყოფიერი საქმიანობისათვის აუცილებელია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. ამასაც დიდი ყურადღებით ეკიდება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო. აღსანიშნავია, რომ ტრესტისათვის სპეციალურად აშენდება საწარმოო კომბინატი, რომელშიც გაერთიანებული იქნება რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ჩამომსხმელი, ყალიბების, მექანიკური, ხის დამამუშავებელი, სარემონტო-მექანიკური საამქროები. კომბინატის სიმძლავრე წელიწადში მილიონ ორასი ათას მანეთს მიაღწევს. კომბინატის მშენებლობა 1985 წელს დამთავრდება. მაგრამ მანამდე საჭიროა ტრესტს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სათანადო საწარმოთა კოლექტივებმა, რათა მათი ნამუშევარი ხარისხიანი და სრულფასოვანი იყოს. ცხადია, ძველი უბნებისა და შენობების რემონტისა და რესტავრაციის სპეციფიკა მაღალი კვალიფიკაციის მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს მოითხოვს.

ამჟამად ტრესტის კოლექტივი ლერმონტოვის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია-რესტავრაციაზე მუშაობს. შრომითს საქმიანობაში განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევენ ის სამშენებლო უბნები, რომლებსაც ი. ღუდუშაური, დ. შიოლაშვილი და ჯ. გოგლიძე ხელმძღვანელობენ. მინდობილ საქმეს მთელი გულისყურითა და სიყვარულით ეკიდებიან და საწარმოო დავალებებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ კალატოზი ბ. მათურელი, მღებავი გ. მილაძე, დურგლები ვ. ბეჟუაშვილი, თ. ანტონოვი, ზლესავები ვ. ტატარიკი, კ. კასრაძე, ტ. დიასამიძე და სხვები.

ჩვენი დედაქალაქის ისტორიული ნაწილი, მისი ძველი უბნები და შენობები საამეიდო ხელშია, მათი გალამაზება-გამშვენიერებისათვის ტრესტის მშრომელებს არქიტექტორთა ბევრი ნაფიქრალის ხორცშესმა და პრაქტიკული განხორციელება მოუწევთ.

და ეს კოლორიტული ქუჩა-ბანდები მომავალში კიდევ უფრო მომხიბვლელი გახდება.

ლ. ქინქლაძე.

სურათებზე: ლერმონტოვის სახლ-მუზეუმის ერთი კუთხე; (მარცხნიდან): დამხმარე მუშა ასატურ რამაზიანი, ს

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

მᲙᲐᲪᲘᲡ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ, ᲛᲝᲛᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისიის მორიგმა სხდომამ იმსჯელა რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის გაწეული მუშაობის შესახებ, აგრეთვე ცეკავშირის საბითუმო ბაზების მუშაობის ორგანიზაციაში არსებულ მდგომარეობაზე, ეკონომიკური სანქციების გამოყენებისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე. განხილვისას წამოიჭრა მრავალი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტისათვის სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ნ. ᲜᲝᲠᲐᲙᲘᲫᲔ შეხვდა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის ხელმძღვანელებს და რამდენიმე კითხვით მიმართა მათ.

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

Მ. ᲫᲐᲒᲨᲐᲘᲐ

— ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის გაძლიერების მიუხედავად, ვაჭრობის სფეროში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევები, რა ღონისძიებებს ახორციელებს სამინისტრო მათ აღმოსაფხვრელად?

— მოგეხსენებათ, ვაჭრობა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ურთულესი დარგია, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს ადამიანებთან, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან და ამიტომ ყოველგვარი ხარვეზები და უწესრიგობანი ამ დარგში უშუალო ზეგავლენას ახდენს ადამიანთა კეთილდღეობაზე, მათი ცხოვრების დონესა და გუნება-განწყობილებაზე. ამიტომ, ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე პირობებში ვაჭრობაში მტკიცე სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებასა და ამ დარგში ჯერ კიდევ ფესვგადგმული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

ამ ბოლო ხანს ჩვენ მიერ განხორციელებული მრავალი ორგანიზაციულ-პროფილაქტიკური ღონისძიების შედეგად სისტემაში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ვაჭრობის წესების დარღვევა-დამახინჯებათა რაოდენობამ რამდენადმე იკლო. გაიზარდა აგვეთვე მაკონტროლებელი ორგანოს მიერ მოწყობილი შემოწმების საერთო რაოდენობა. მუშაობა გააქტიურეს აგრეთვე საუწყებო კონტროლის სამსახურებმაც. მათ წილად მოდის წელს მოწყობილ შემოწმებათა 68 პროცენტი და გამოვლენილი დარღვევების 86 პროცენტი, რაც ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალი მაჩვენებელია უკანასკნელ წლებში.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საქმიანობის ამ უბანზე შექმნილი მდგომარეობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს წაყენებულ მოთხოვნებს და არ გვაძლევს საშუალებას ამ მხრივ რადიკალურად გარდაქმნათ საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ჩვენი მუშაობის შეფასების უტყუარი ბარომეტრია. დადებითი ძვრების მიუხედავად, სავსებით საშართლიანია ჩვენი მომხმარებლის „ულისწყრომა იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ხშირია ჩვენს სავაჭრო ობიექტებში ვაჭრობის წესების უხეში დარღვევები — მომხმარებელთა ანგარიშში მოტყუება, საქონლის ფასების დამახინჯება, სავაჭრო ობიექტებში საკმარისი ასორტიმენტის საქონლის უქონლობა და სხვა. ჯერ კიდევ ხშირია აღურიცხავი საქონლის ვაჭრობისა და სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-დატაცების ფაქტები. მარტო მიმდინარე წლის განვლილ 10 თვეში სხვადასხვა დარღვევისათვის სამსახურიდან განთავისუფლდა 476 მუშაკი; სასჯელი დაედო 8300-ზე მეტს, ხოლო სამამძიებო ორგანოს გადაეცა მრავალი საქმე.

რა არის მიზეზი იმისა, რომ გაწეული მუშაობის მიუხედავად, ადგილი შემოწმებისა და კონტროლის შემდეგ (მარტო წელს სისტემაში მოეწყო 17 ათასამდე საკონტროლო შემოწმება) მდგომარეობა ძალზე ნელა იცვლება უკეთესობისაკენ?

— დიახ, სწორედ ეს გვაინტერესებს, ხომ ვერ ხვეწავთ განხორციელებულ ღონისძიებათა უშედეგობის მიზეზს?

— ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიგვაჩნია ის, რომ დღევანდელ ვაჭრობის წესების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა ძალზე უსისტემოდ და ქაოსურად მიმდინარეობს. ჩვენ შორისა ვართ იმ აზრისაგან, რომ შემოწმებანი ვაჭრობაში ალარ უნდა იყოს, პირიქით, კონტროლისა და მომთხოვნელობის შესუსტება ვაჭრობაში ერთი წუთითაც არ შეიძლება. მაგრამ ამას უნდა ჰქონდეს სისტემატური, გეგმაზომიერი ხასიათი. დღეს შეიძლება ჩამოვთვალოთ მრავალი ორგანიზაცია, უწყება და დაწესებულება, რომლებიც ფულებამოსილი არიან გააკონტროლონ სავაჭრო ობიექტების მუშაობა, მაგრამ, როგორც პრაქტიკიდან ჩანს, ყოველი მათგანი უფრო ხშირად იფარგლება ვიწროუწყებრივი ინტერესებით, არ არის მათ შორის ურთიერთკონტაქტები, რომ აღარაფერი ვთქვათ მუშაობის კოორდინაციაზე, ალბათ, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, მომავალში როგორმე გაგვეერთიანებინა ჩვენი საუწყებო კონტროლისა და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების ძალები, შესაძლებლობანი და მუშაობა ამ მიმართულებით უფრო ერთობლივი, კოორდინირებული გაგვეხადა.

მეორე მიზეზი არის ის, რომ დაბალია სისტემაში პროფილაქტიკური მუშაობის დონე. ამჟამად ვაჭრობის სამინისტროში მუშაობენ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სწორედ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერება. ამ მიმართულებით მუშაობაში ჩაეგბამთ სამინისტროს აპარატის ყველა სტრუქტურულ ქვეგანყოფსა და სამსახურს.

— გთხოვთ გვითხრათ, რა მდგომარეობაა თქვენს საბითუმო რგოლში?

— განსაკუთრებული კონტროლი დაწესდა საბითუმო ბაზებისა და კანტორების მუშაობისადმი, ვინაიდან, როგორც საზოგადოებრივი აზრის შესწავლამაც დაგვანახვა, საცალო ქსელში არსებული ბევრი ნაკლოვანება სათავეს სწორედ აქ იღებს. აღნიშნულ ორგანიზაციებში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების მიზნით ხორციელდება მთელი რიგი ორგანიზაციულ-პროფილაქტიკური ღონისძიებანი.

ყოველთვიურად მოწმდება საბითუმო ბაზების მიერ საცალოსავაჭრო ორგანიზაციებისათვის გაცემული საქონლის მდგომარეობა, რესპუბლიკურ საბითუმო ბაზებში ყოველკვარტალურად მოწმდება საფოსდო დისციპლინა და შედეგები განიხილება კოლეგიაზე.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად ვაჭრობის სამინისტროს სიტემატური კონტროლი აქვს დაწესებული საკმარისი ასორტიმენტის საქონლის უწყვეტი ვაჭრობის უზრუველყოფისა და გაზრდილი მოთხოვნილების საქონლის გადამავლის ფაქტების ლიკვიდაციის საკითხებისადმი.

— რა კეთდება ამჟამად ვაჭრობის სისტემაში დარღვევა-დანაშაულობათა პროფილაქტიკათვის?

— უწინარესად ხორციელდება ღონისძიებანი საუწყებო კონტროლის სამსახურების მუშაობის ეფექტიანობისათვის.

ვაჭრობის სამინისტროს დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიული მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის სხდომებზე სისტემატურად ისმენენ დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და სამინისტროს აპარატის სტრუქტურული ქვეგანყოფების ხელმძღვანელთა ანგარიშებს თავიანთ უბნებზე ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, ასევე განიხილავენ მშრომელთა სიჩივრებს მათი ავტორებისა და კონკრეტული დამნაშავე პირების თანდასწრებით, ვაჭრობის წესების დარღვევის კონკრეტულ ფაქტებს, სხვა პროფილაქტიკურ საკითხებს და ასე შემდეგ.

რაც შეეხება დაქვემდებარებული ორგანიზაციების შესაბამისი კომისიების მუშაობას მომავალში, მათი საქმიანობა ისეთნაირად წარიმართება, რომ ვაჭრობის წესების დარღვევის თითოეული ფაქტი გახდეს ოპერატიული და პრინციპული მსჯელობის საგანი კომისიის სხდომებზე და მშრომელთა კოლექტივებში.

აღნიშნული კომისიების მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესების მიზნით დასახულია და ხორციელდება სხვა ორგანიზაციული ღონისძიებანიც.

ამჟამად სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნების მიხედვით დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად სისტემაში იმართება კადრების დენადობის, სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების დათვალიერება-კონკურსი, რომლის შედეგებსაც შეაჯამებს სპეციალური კომისია.

ვაჭრობის სამინისტროს აპარატსა და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში შრომისა და სამეცნიერო-ტექნიკური შემდგომი ამაღლების მიზნით შეიქმნა შტაბები, რომლებიც გარკვეულ მუშაობას ეწევიან შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

დასახულია და ხორციელდება ღონისძიებანი სისტემაში სახელმწიფო ქონებისა და მატერიალურ ღირებულებათა დაცვის უზრუნველსაყოფად. ახლახან ამ საკითხზე ამსჯელეს ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიამ, რომელმაც არადამაკმაყოფილებლად შეაფასა ამ მიმართულებით სამინისტროს სათანადო სამსახურების მიერ გაწეული მუშაობა და სახელმწიფო ქონების დაცვის საქმის არასათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის სამსახურიდანაც კი გაათავისუფლა სამინისტროს ზოგიერთი ხელმძღვანელი პასუხისმგებელი მუშაკი.

— გაგვაცანით დარგის პრობლემები და პერსპექტივები.

— მომავალში ვაჭრობის სამინისტრო იმუშავებს მთელ რიგ პრობლემურ საკითხებზე, რომელთა წარმატებით გადაჭრამაც მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი სისტემაში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას. მათ შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ კადრების თვისებრივი შემადგენლობისა და საერთოდ კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების საკითხები. საკმარისია ითქვას, რომ გასული წლიდან საფუძველი ჩაეყარა ერთ მეტად სასარგებლო ტრადიციას: რესპუბლიკის განათლების სამინისტროს და საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დაგეგნილებით თბილისის სავაჭრო ობიექტებში სისტემატურად ეწყობა მრომითი მეოთხეული, რომლის მიზანია ახალგაზრდა კადრების ვაჭრობაში ჩაბმა, მათი პროფორიენტაცია და დარგის საზოგადოებრივი პრესტიჟის ამაღლება.

ბოლო დროს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განვახორციელეთ თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტთან საქმიანი კონტაქტების გასაძლიერებლად. უნივერსიტეტი ჩვენი კადრების ძირითადი სამჭედლოა. დაიდო თანამშრომლობის ხელშეკრულება ვაჭრობის მეცნიერებათა დოქტორ ალ. ფეიგინთან, ეფექტიანობისა და ეკონომიკურ ანალიზთა ლაბორატორიის ინჟინერ-ეკონომისტ ალ. ბოგომოლოვთან, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატ

სოკვლისა საკითხავი

შენი ხმა გადმოდიოდა

ქართული კულტურის სამსახური, ეროვნულ საქმეთა კეთება მამა-პაპათაგან მოსდგამს ანზორ ერქომაიშვილს. გვარმა და გენებმა წინაპართა კვალს გააყოლა, ქართული სიმღერა შეაყვარა და დღეს უკვე იგი—ახალგაზრდა კაცი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი — საკვეყნოდ ცნობილი ვოკალური ანსამბლის — „რუსთავის“ მხატვრული ხელმძღვანელია. ამ ცოტა ხნის წინათ სწორედ მისი მეცადინეობით გამოვიდა ფირფიტები, რომელზეც ანსამბლ „რუსთავის“ შესრულებით ხმოვანი ქართული ხალხური სიმღერაა ჩაწერილი.

ზემოთ თქმულში მკითხველისათვის, ალბათ, ახალი არაფერია. ანზორ ერქომაიშვილის სახელი

— **ძველი** ფირფიტების აღდგენის იდეა მოიაზოდა ჩემმა პედაგოგმა, აწ განსვენებულმა პროფესორმა შალვა ასლანიშვილმა. მან მირჩია ამ უნიკალური ფირფიტების მოძიება ოჯახებში, არქივებსა და მუზეუმებში, მომღერალთა ბიოგრაფიების დაზუსტება მათი შთამომავლების დახმარებით, ფირფიტებზე ჩაწერილი სიმღერების გაშიფრვა და სანოტო ფურცლებზე გადატანა, შემსრულებელთა გვარების აღნიშვნა ხმების მიხედვით; ფირფიტების აღდგენა თანამედროვე ტექნიკის საშუალებით და მათი ხელახლა გამოცემა თანდართული ნოტებით. ბატონმა შალვამ დასძინა, რომ ეს კრებული დიდ სამსახურს გაუწევს ქართულ მუსიკალურ კულტურას, გავა დრო, და შეიძლება მომავალმა თაობებმა ხალხური სიმღერების სიწმინდეში ეჭვიც კი შეიტანონ, იგი შეკეთებულად ჩათვალონ, მაშინ ჩვენ გვეძნება 1907-15 წლებში ჩაწერილი სიმღერების დედნები, რომლებიც ნივთიერი საბუთი აღმოჩნდება ქართული ხალხური სიმღერების სიწმინდისა და ხელშეუხებლობისაო.

აი ამ მიზნით შევუდექი ძველი სიმღერების შეგროვებას. ეს იყო 1976 წელს და ახლა უკვე შეიძლება მკითხველს მოვუთხროთ, თუ როგორ იქნა აღდგენილი ამ 7 წლის განმავლობაში რამდენიმე ასეული (500-ზე მეტი) სიმღერა, მოვუთხროთ მათ შემსრულებელთა შესახებ.

უპირველესად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შევგროვეთ გაცვეთილი ძველი „ანგელოზისფერთანი“ გრამაფონის ფირფიტები და მივადექი საკავშირო ფირმა „მელოდიის“ სარესტავრაციო განყოფილებას. აღმოჩნდა, რომ ფირფიტების უმრავლესობა იმდენად იყო გაცვეთილი, რომ მათი სრულყოფილი აღდგენა პრაქტიკულად არ მოხერხდა.

სარესტავრაციო განყოფილებაში მირჩიეს, კოლექციონერებთან და მუზეუმებში მომეძებნა ამგვარი ფირფიტები. რამდენიმე მოსკოველი კოლექციონერის მისამართიც მომცეს.

გარდა ამისა შევაკითხე იმ ქალაქების არქივებს, სადაც უცხოური ფირმები იწერდნენ ფირფიტებს. ეს ქალაქებია: მოსკოვი, რიგა, კიევი, ლვოვი, ლენინგრადი, ოდესა... თურმე ამ ქალაქების არქივებიდან ოძის დროს რევოლუციამდელი ჩანაწერები მოსკოვის აპრელევის ქარხანაში გადაგგზავნათ. აპრელევის ქარხანაში სხვადასხვა ქალაქიდან მიღებული მატრიცები სპეციალურ საცავებში იყო მოთავსებული. მოვითხოვე კატალოგები, რომლებშიც მხოლოდ ომის შემდგომი პერიოდის ჩანაწერები აღმოჩნდა. თითქოს იმედი გადაწურული იყო, მაგრამ ქარხნის ერთ-ერთი განყოფილების უფროსმა მითხრა, რამდენიმე წლის წინათ არქივის სარდაფში ძველი კატალოგების ყუთს წავაწყდი, ოღონდ ვისი სიმღერები იყო არ ვიცი. ისევ გაჩნდა იმედის ნაპერწკალი, მოვითხოვე ის ყუთი და შევუდექი გახუნებული მუყაოს ბარათების დათვალიერებას. და აი, ბარათი, რომელსაც ეწერა: „ტრიო ცნობილი მომღერლის გიორგი ბაბილოძის მონაწილეობით“. მალე გამოჩნდა ახალი სიმღერები და ახალი გვარები — „დედას ლევანა“, „ფაღლავა“, „ქუთაისის ხორო“, „მეღუღუკეთა ანსამბლი ბაგრატის ხელმძღვანელობით“ და სხვა. ჩანაწერების თარიღი 1907-15 წლებით განისაზღვრებოდა. ძველი მატრიცების ნომრები ამოვიწერე. ახლა საჭირო იყო მათი აღდგენა საქარხნო წესით. თბილისში დაბრუნებისთანავე საქართველოს სახტელერადიოს გადავეცი ჩემ მიერ ამოწერილი ნომრები. კომიტეტმა ფირმა „მელოდიას“ გაუგზავნა ოფიციალური წერილი, რომელშიც სთხოვდა ნაპოვნი მატრიცების აღდგენას. „მელოდიამ“ არქივიდან ძველი მატრიცები გამოიწერა და აღდგენას შეუდგა. არქივის საცავში მეც შემიშვეს. სარდაფში თაროებზე ვერტიკალურად დალაგებული ათასობით მატრიცა ძევს, ვინ იცის, კიდევ რამდენი ქართული სიმღერაა აქ მომალული, ვინაიდან ბევრ მათგანს არც სიმღერის სახელწოდება აწერია და არც შემსრულებელთა გვარები.

მატრიცები მივატანეთ მოსკოვის საცდელ ქარხანა „გრამჩანაწერში“, სადაც ხდება მათი აღდგენა. ამის შესახებ შევატყობინე კონორეფისორ სოსო ჩხაიძეს, რომელიც გადამღებ ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა მოსკოვში და მატრიცების აღდგენის მთელი პროცესი კინოფირზე გადაიღო.

მატრიცა ლითონის, სპილენძის ან თითბრის სქელი და მძიმე ფირფიტაა, მისი პირველი ორიგინალი, ფოტოგრაფიის ენით რომ ვთქვათ, ნეგატივია, მისგან ნამდვილი ხმა არ მიიღება. ხმა მიიღება მეფრე ორიგინალისაგან, რომელიც მზადდება შემდეგი წესით: რამდენიმე საათის განმავლობაში ქიმიურ ხსნარებში ხდება მატრიცის გაწმენდა და რესტავრაცია. შემდეგ ლითონის მატრიცა გადადის მორიგ საამპარატოში, სადაც სხვადასხვა ხსნარში ჩაკიდეული მატრიცები იქანგება გალვანური წესით და ხიკელის თხელი ფენით იფარება. ამ ხიკელის ფენას მატრიცას ფრთხილად მოაცლებენ და მიიღება მეორე ორიგინალი, რომელიც გარკვეული ოპერაციების ჩატარების შედეგად გამოსაცემს ბუნებრივ ხმას.

ასეთი რთული წესით აღდგა ძველი მატრიცების პირველი პარტია, და აი, „მელოდიის“ საამპარატოში ელექტროსაკრავზე დადგა პირველი ფირფიტა... გვესმის ხმა — „ჩავლეიშვილი, ჩხიკვიშვილი და სიმონიშვილი. ჩვენ შშვიდობა წამოვძახეთ“. მათი შესრულებით გაისმა ძველი გურული სიმღერა „ჩვენ შშვიდობა“. სიმღერა ჩაწერილია 1908 წელს ქუთაისში.

ვინაიდან კატალოგში სიმღერების დასახელება და შემსრულებელთა გვარები სწორად არ იყო აღნიშნული, საჭირო გახდა სიმღერისა და შემსრულებლების გამოცნობა. აი, ეჟერს „კახური მრავალჟამიერი“. გაისმა მაღალი, ფართო მოცულობის ტენორი, რომელიც თავისუფლად დაცურავდა მრავალჟამიერის მაღალ რეგისტრში. მივხვდი, რომ იგი „დედას ლევანა“ იყო. ლევან ასაბიშვილი ცნობილი მომღერალი გახლდათ. გადმოცემით, შვიდი წლის ისევ ძუძუს წოვდა, სწორედ ამიტომ შეარქვა ხალხმა სასიყვარულოდ „დედას ლევანა“. მიუხედავად იმისა, რომ სიმღერები ასე დიდი ხნის წინათ —1914 წელს არის ჩაწერილი, თანაც მაშინდელი ტექნიკით, ჩვენ გამოც ხმა კარგვეს თავისი საუკეთესო თვისებების თითქმის ნახევარს, მაინც იგრძნობა, რომ „დედას ლევანას“ მართლაც შეუდარებელი ხმა ჰქონია.

ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ „დედას ლევანა“, ბათუ როსტომაშვილი, ალექსი ელოშვილი, ქუთრციკიძე და კნიაზაშვილი, 6 სიმღერა ჩაუწერია 1914 წელს.

ახლა ერთი ჩანაწერის ამბავს გიამბობთ, თუმცა იგი ხალხურ სიმღერებს არ ეხება, მაგრამ ვფიქრობთ მკითხველებისათვის საინტერესო იქნება.

ელექტროსაკრავზე მორიგი ნიკელის ფირფიტა დავდეთ. ფირფიტას კიდეები ჰქონდა დაბრეცილი, ამიტომ დასაწყისიდან მისი აყენერება არ მოხერხდა. მემბრანა ფირფიტის შუაში დავაყენე, მოისმა სასუმარო ლექსი, რომელსაც ვიღაც სასიამოვნოდ კითხულობდა. გამოვუძახეთ ხელოსნებს, გასწორეს ფირფიტის კიდე და გაისმა ფირფიტიდან: „მოისმენეთ ძველი თბილისის სურათები, წაკითხული ვასო აბაშიძისაგან“. იგი ჩაწერილია 1915 წელს. რაოდენ სასიამოვნოა, რომ მალე ყველას ექნება საშუალება ქართული თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობის ხმა მოისმინოს.

მოგეხსენებათ, ვანო სარაჯიშვილზე ხალხში ბევრი ლეგენდაა შექმნილი. მისი ხმის ჩანაწერები დაიკარგა, ჯმები დადიოდა, თითქოს ვანოს უამრავი სიმღერა და არია ჰქონდა ჩაწერილი, რომლებიც შემდეგ უცხოეთის ფირმებმა საზღვარგარეთ გაზიდეს.

ჩვენ ხელთ გვაქვს ამონაწერები ლენინგრადელი კოლექციონერის იური ბორისის ძე პერეპიოლკინის კატალოგიდან. ეს კატალოგი იშვიათობაა და მას არც ერთ მუზეუმსა და არქივში არ შევხვედრივარ.

ამ კატალოგში შეტანილია 1907 წლიდან 1915 წლამდე ჩაწერილი ყველა სიმღერა, მათ შორის ვანო სარაჯიშვილის და სხვა ქართველი მომღერლებისა. ეს კატალოგია № 4, დათარიღებულია 1915 წლის თებერვლით, „თბილისის სახაზინო საოპერო თეატრის არტისტი ივანე პეტრეს ძე სარაჯიევი“, სიმღერები ასეთი თანამიმდევრობით არის დათარიღებული: 1. „დავრდომილი სნეული,“ მუსიკა ანდრია ყარაშვილისა, ლექსი კ. მაყაშვილის; 2. „ვარსკვლავო“ ნეაპოლური სიმღერა, სიტყვები კონტმან ანდრონისა. 3. „ისევ შენ და ისევ შენ“. მუსიკა ანდრია ყარაშვილისა. 4. „ურმული“ — ხალხური, 5. „ოდესაც გიმზერ“, ლექსი გრ. აბაშიძისა, 6. „საყვედური“ (გენაცვალე), ლექსი იოსებ გრიშაშვილისა, მუსიკა ბონჯოვანისა. 7. „მზე აღარ ბრწყინავს“, მუსიკა დ. არაყიშვილისა, 8. „მხოლოდ შენ ერთს“, სიტყვები ნ. დადიანისა.

ასე რომ, ეს ბოლო სრული კატალოგია, რომელშიც ვანოს 8 სიმღერაა შეტანილი. ეს სიმღერები ამჟამად აღდგენილია და მალე ფირფიტის სახით იხილავს ჩვენი მკითხველი. არქივში მარტო ორი მატრიცის პოვნა მოხერხდა. ეს არის „ურმული“ და „დავრდომილი სნეული“. დანარჩენი სიმღერები აღდგენილია ფირფიტებიდან. მინდა ვისარგებლო შემთხვევით, და დიდი მადლობა მოვახსენო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგს ზაურ მეძველიას, რომელმაც ვანო სარაჯიშვილის სიმღერების კარგად შენახული რამდენიმე ფირფიტა გვათხოვა, საიდანაც აღვადგინეთ ჩვენი სასიქადულო მომღერლის სიმღერები.

ახლა კიდევ ერთი უნიკალური კატალოგის შესახებ. იგი ერთმა მოსკოველმა კოლექციონერმა მაჩუქა.

კატალოგში შეტანილია 1907 წელს ამერიკაკავკასიაში ჩაწერილი ქართული, სომხური და აზერბაიჯანული სიმღერები. აქ არის ია კარგარეთლის 8, ვინმე ბაგრატას დუღუკის აკომპანემენტით 12 ქალბატონ ბარბარეს 4 სიმღერა, ურმული სანდრო კავსაძის შესრულებით, მისივე ლოტბარობით ქართული ხორო ასრულებს 10 სიმღერას. ხორო ცამციევის ხელმძღვანელობით — 16 სიმღერას, აღსანიშნავია, რომ სოფელ მაკვანეთიდან ანსამბლს გიგო ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით 1907 წელს ჩაუწერია 42 სიმღერა და საგალობელი, მათ შორის ბევრი დღემდე უცნობი ვარიანტი.

მაკვანეთის ანსამბლის შემადგენლობაში იყვნენ: გიორგი ბაბილოძე, გიგო ერქომაიშვილი, გიორგი იობაშვილი, მანიკო ბურძგლა; ივლიანე და არტემ ერქომაიშვილი. მომღერალთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა გიორგი ბაბილოძის გამყიანი; „იგი შესაშური ოსტატობით მღერის. აღსანიშნავია, რომ თვით გიორგი და ამ ანსამბლის უმრავლესობა მაშინ 70 წელს იყვნენ მიღწეულნი.

ქართულ-კახურ სიმღერებში წარუშლელი კვალი დატოვა შესანიშნავმა მომღერალმა მიხა ჯიღაურმა. მის სიმღერებს კატალოგში ხშირად შემსრულებლის გვარი არ ეწერა, მაგრამ მისი ხმა იმდენად კოლორიტულია, რომ ძნელია იგი სხვა ხმებში აერიო, ისევე როგორც „დედას ლევანას“, გიორგი ბაბილოძის, სამუელ ჩავლეიშვილის, ალმასხან ხუხუნაიშვილის, ნიკო ხერციას ხმები.

საარქივო მასალების დიდი ხნის ძებნისა და კატალოგებზე მუშაობით გაირკვა, რომ 1907-15 წლებში ჩაწერილია ბევრი ქალაქური სიმღერა. ჩაწერილია სიმღერები ოპერის სოლისტების სარაჯიშვილის, ტომაშევიჩის, ცირლილაძის, ფალავას მიერ. ჩაწერილია ბევრი სახასიათო და ინსტრუმენტული მუსიკა, ია კარგარეთლის სიმღერები, ქართულ-კახური და განსაკუთრებით ბევრი გურული სიმღერა, ჩაწერილია ქუთაისის გუნდის სიმღერები.

მუშაობის პროცესში კონორეფისორმა სოსო ჩხაიძემ მაცნობა, ლენინგრადის რუსული ლიტერატურის მუზეუმში ძველი ფირფიტები უნდა იყოსო. იქ ძველი ფირფიტების კოლექცია უმნიშვნელო აღმოჩნდა, მაგრამ სამაგიეროდ იქ იყო ფილფონოგრაფზე ჩაწერილი 1905, 1910 და 1930-1935 წლებით დათარიღებული სიმღერების დიდი კოლექცია.

ეს კოლექცია, როგორც ჩანს, დიდი ხახია დევს ლენინგრადის „პუშკინის სახლში“. ცვლილ ლილავკაებზე ჩაწერილი სიმღერების მოსმენა ძალზე ძნელია. რამდენიმე წლის წინათ გამოიგონეს საგანგებო აპარატურა, რომელიც აღადგენს ბუნებრივ ხმას ლილავკებიდან. ჩვენ დავინტერესდით ქართული სიმღერების ფონდებით და ვითხოვეთ მათი აღდგენა. საქმეში ჩაერია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ვინაიდან მხოლოდ მათ აქვთ უფლება გადაიწერონ ესა თუ ის ფონდი „პუშკინის სახლიდან“. ბატონმა ივანე ნინი ხარაძემ წერილი მისწერა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ამხ. ფედოსეევს, რომელმაც ნება დაგვრთო აღვადგინა ეს ფონდები. სიმღერები აღვადგინეთ და თბილისში გადმოვიტანეთ. ამჟერად ისინი ფირმა „მელოდიაშია“.

მთა ჩემი სიხარულია!

...7000 მეტრის სიმაღლეზე ამინდი გაფუჭდა. 21 მთამსვლელმა პირი იბრუნა. გამოიდარა თუ არა, ექვსი მათგანი კვლავ თოკშე ჩაება... ევგენი და ვიტალი აბალაკოვებიც ამ ექვსეულში იყვნენ. უფროსმა ძმამ ევგენიმ 1933 წელს მარტოკამ მიაღწია ჩვენი ქვეყნის უმაღლეს მწვერვალს — კომუნიზმის პიკს (7495 მ.). და პირველამსვლელის სახელიც დაიგდო. იგი ამჯერადაც ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ერთ-ერთი ალპინისტი შეუძლოდ გახდა და ასვლა რომ არ შეფერხებულიყო, კიდევ ერთ თმამსვლელთან ერთად მისი ჩამოყვანა ითავა. დანარჩენებმა — ი. ლუკინმა და კ. ჩერნუხამ, ვ. აბალაკოვის მეთაურობით მიზანს მიაღწიეს. აი, ასე დაილაშქრა პირველად ლენინის პიკი (7134 მ.). — სიმაღლით მესამე მწვერვალი ჩვენს ქვეყანაში და ეს ასვლა მსოფლიო ალპინიზმის საუკეთესო მიღწევად აღიარეს მაშინ.

შემდეგ ვიტალი აბალაკოვმა არაერთი მუყაო მწვერვალზე გაკვალა „ბილიკი“, საკავშირო ჩემპიონატებშიც მრავალგზის მოიპოვა ოქროს მედალი; მანვე ნ. კრილენკოსთან, ლ. ბარხაშთან და უფროს ძმასთან ერთად პირველმა დაიმასხურა სსრ კავშირის ალპინიზმის დამსახურებული ოსტატის წოდება; 1941 წელს კი ძმებს პირველებს მიენიჭათ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. 1961 წელს ვიტალი აბალაკოვს (ოთარ გიგინეიშვილთან, ალექსანდრე ივანიშვილთან და მიხეილ გრუდნინსკისთან ერთად) სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდებაც პირველს მიეკუთვნა.

ერთი სიტყვით, ვ. აბალაკოვი ერთ-ერთი ღვაწლმოსილი მთამსვლელია მთელ ალპინისტურ სამყაროში. აკი დუფფასდა კიდეც ამაგი — მთავრობის მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი დაიმასხურა.

საბჭოთა ალპინიზმის ეს ცოცხალი მატიანე, ჩვენში მთამსვლელობის ჩასახვისთანავე ჩაება თოკში და დღემდე მიუყვება მწვერვალებისკენ მიმავალ ბილიკებს, უფრო სწორად მისი აღზრდილები აგრძელებენ მისგან გაკვალულ გზას.

დღეს ეს ამაგდარი ალპინისტი 77 წლისაა, მაგრამ საკმაოდ მხნედ გამოიყურება. და რაოდენ სასიხარულოა, რომ სსრ კავშირის ალპინიზმის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო დღეებში თბილისში გვეწვია და მოგვეცა საშუალება, რამდენიმე შეკითხვით მიგვემართა მისთვის:

— როგორ აფასებთ საბჭოთა ალპინიზმის განვლილ გზას, კიდევ რა სიმაღლეები დარჩა მან დასაალაშქრავი?

— ჩვენი ალპინისტები დიდი ხანია სარგებლობენ საერთაშორისო ავტორიტეტით. ბევრ მათგანს თავის უშიალო მასწავლებლად მიიჩნევენ სახელოვანი უცხოელი თმამსვლელები. მაგალითად, ბულგარელი ხრისტო პროდანოვი, რომელმაც 1981 წელს მარტოდმარტომ მიაღწია (ჰიმალაის მთებში) დედამიწის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალს — ლხოცზეს (8501 მ.), თვლის, რომ სწორედ საბჭოთა ალპინიზმის მიღწევები იქცა საუკეთესო სკოლად ბულგარელ თმამსვლელთათვის: „ჩვენ — ბულგარელი თმამსვლელები, საბჭოთა კოლეგების დახმარებით დავოსტატდით. პირადად ჩემთვის სამარადჟამო იდეალად დარჩება მიხეილ ხერგიანი — ბრწყინვალე ადამიანი და ასევე ბრწყინვალე თმამსვლელი“. ეს სიტყვები მთელი საბჭოთა ალპინიზმის აღიარებად მიმაჩნია. თქვენ მკითხეთ, კიდევ რა სიმაღლეები დარჩა დაუალაშქრავი? ერთადერთ „აქილევსის ქუსლს“ ჰიმალაი წარმოადგენდა დ., ეს სასიხარ ქვაც წარმატებით დავძლიეთ — ჩვენები მანამდე გაუკვალავი და ურთულესი გზით ავიდნენ დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე—ჯომოლუნგმაზე. მათი მარშრუტი ალპინიზმის კორიფეებმა ზერთულად აღიარეს.

— რა მოგცათ თოაში სიარულმა?

— სიხარული, დიდი სიხარული! ჩემი საუკეთესო მოგონებები ხომ მთლიანად მთასთანაა დაკავშირებული. სამწუხაროდ, ქართველ თმამსვლელებთან ერთად მწვერვალზე არ ავსულვარ, მაგრამ ჩვენს ექსპედიციებს ხშირად ერთმანეთის მეზობლად ედოთ ბინა. თქვენი ბიჭები მუდამ მხიარულად იყვნენ ბანაკში. მათი შემყურე ზოგჯერ ამასაც ვფიქრობდი, ესენი მწვერვალზე ამსვლელები არ არიან-მეთქი, მაგრამ მუდამ ვწბილდებოდი, საქმეს ისე მარჯვედ აკეთებდნენ, ისეთი ტემპერამენტითა და გატაცებით ასრულებდნენ ურთულეს დავალებებს, რომ გათაცებულიც კი ვრჩებოდი. მინდა ეს თვისებები თქვენს ახალგაზრდა თმამსვლელებსაც გაჰყვეთ.

— ამ ათი წლის წინათ, როცა თბილისმა სსრ კავშირისა და საქართველოს თმამსვლელთა ფედერაციების გაერთიანებულ, საბჭოთა ალპინიზმის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო პლენუმს უმასპინძლა, აღნიშნეთ, რომ ქართველი თმამსვლელები დიდ ძალას წარმოადგენენ, მაგრამ მასობრივობის მხრივ, სამწუხაროდ, წინსვლა ალარ იგრძნობთო. ისიც თქვით, სწორედ მასობრივობაა წარმატების თავი და თავიო! ეს საკითხიც რომ მოგვაროთ, დარწმუნებული ვარ, ქართველთა მთელი ზღვა ეკვეთება მწვერვალებსო, ამისათვის ყველაფერი გიწყობთ ხელს — მშვენიერი ალპური კლუბი, კავკასიონიც ხომ აქვე გაქვთ, ორღოდ ნახჯზეო. ახლა რას გვეტყოდით, ამ ათი წლის შემდეგ?

— ახალს ბევრს ვერაფერს, სიტყვასიტყვით გავიმეორებდი იგივეს. საბჭოთა ალპინიზმის აკვანს გაცილებით მეტი მოეთხოვება...

• • •

ჩვენც სხვა რა დაგვრჩენია — ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ათი წლის შემდეგ, როცა საბჭოთა ალპინიზმი 70 წლისა შესრულდება, უკვე ოთხმოცდაშვიდის ვიტალი აბალაკოვმა კვლავ, „სიტყვასიტყვით არ გიმეორო“ დღევანდელი, უფრო სწორედ, 1973 წელს ნათქვამი.

ა. გურასაშვილი.

ეოხუცი და ზღვა

ვლადონი

...რა თქმა უნდა, შვებულებისათვის დიდი ხანია ვემზადებოდი, ჯერ თვეებს ვითვლიდი, მერე კვირებს, მერე დღეებს და... ბოლოს დადგა ნანატრი დღეც.

ვიყიდე სხვადასხვა ზომის ანკესები, ბადე, გასაბერი ნავი... შევადგინე დღის რეჟიმი... იმდენი ვილაპარაკე ზღვაზე და თევზობაზე, რომ „მოხუცი და ზღვა“ შემარქვეს, ზოგი პირდაპირ ჰემინგუეის მეძახდა. და აი, მატარებელი „თბილისი — სოჭი“ დგას მეხუთე ლიანდაგზე, თქვა ვაგზლის დიქტორმა ისეთი ტონით — ვისაც გეხებათ გაიგონეთ, თორემ მე ჩემს საქმეს მოვრჩი, და გაჩუმდა.

ჩემთვის განკუთვნილ მე-16 ვაგონის 13 ადგილზე (სულ ამ 13-ის ბრალია) იმოდენა კაცი დამხვდა, რომ ულვაშები მეზობელ კუპეში ჰქონდა... სულ რომ არ ველოდი, იმ გაჩუმებულმა დიქტორმა უეცრად გადმოგვძახა: — ორი წუთის შემდეგ გავალთ მეხუთე ლიანდაგიდანო, მართლაც.. აგიხდათ ყველაფერი კარგი. ისე გაიპარა მატარებელი თბილისის ვაგზლის ბაქნიდან, თითქოს შერცხვა, ერთ ადგილზე ორი ბილეთი რომ იყო გაყიდული!

აქეთ იალბუზივით კაცი ჩემ ადგილზე... იქეთ მხრებაჩეჩილი გამყოლი ქალი!

არადა, შვებულება, საგზური... ბილეთი ჯიბეში მაქვს — ადგილი არა მაქვს, რა ვინდა, რომ ქნა!

გადამეყვანეს ბვერდით, სულ ცარიელ ვაგონში, ხაშურამდე ბრინჯის მარცვალივით ვიყავი ჩაკარგული ამ უკაცრიელ ვაგონში...

რა ვუყოთ მერე, ხდება, იმან რა ქნას, 1941 წლის 22 ივნისს მატარებელში რომ იჯდა!... მე რა მიჭირს, შვებულებაში ვარ, ჩემი საგზური ლამაზია, მოსაწვევ ბარათს ჰგავს... ზღვა, პაერი, ათასი ნაცნობი და უცნობი... რა მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ვაგონს, ყურიანი და უყურო ქოთნისა არ იყოს. განა დანიშნულ სადგურზე ყველა მაინც ერთად არ ჩავალთ? რა მოხდა, შეცდომა ვის არ მოსვლია, ვინუგეშებ თავს... და ვაგონის რიტმულ დუგდუგს ვყვები დუგ-დუგ... დუგ-დუგ.

სადგურზე ჩამოვედი და დინჯად მივაშურე ტაქსის გაჩერებას.

— ლავრენტი!.. ისე მარისმოგებით დამიძახა ვიღაცამ, თითქოს ქურდობაზე შემისწრო.

ჩემი მეგობარი, ჩემი სიყრმის ძმა და სიხარული, ქორორა და მხიარული თავზე დამადგა.

— რა ვქნათ ახლა ჩვენ? — იკითხა მან და პასუხიც თვითონ გასცა:

— ხაში — გვიანაა, ბასტერმა ადრეა... ხინკალზე მოსაცდენი ხალხი ჩვენ არ ვართ, გავჩერდეთ შამპანურზე, შამპანური ცივი, და მშრალი!

— საგზურით ვარ ჩამოსული!.. გაძალიანება ვცადე ერთი.

— ჩვენში დეკაბრისტების გარდა გადმოსახლებული არავინ ყოფილა, ყველა თავისი ნებითაა ჩამოსული — ზოგი საგზურით და ზოგიც... მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმა ჩემმა მეგობარმა, უცებ სერიოზული სახე მიიღო და ხარის თვალებით შემომხედა.

— გალოთებულა — ვიფიქრე მე.

— დიდი ხანია აქეთ ხარ? — ვთქვი მე უიმედოდ.

— დამრჩა სამი დღე, მაგრამ ალარ შემიძლია! —თქვა მან, კისერი მაღლა ასწია, თვალები გადაქაჩა და ცერზე ასხლტილი საჩვენებელი თითი ყელზე რამოდენიმეჯერ მიირტყა.

ამ ჩვენს „შეხვედრას“ ორი დღე და ერთი ყუთი შამპანური დასჭირდა, შამპანურის გაზისგან ავშრატდი და დირიჟაბლს დავემსგავსე.

...სანატორიუმის მშვენიერ... ნათელ... კეთილმოწყობილ ოთახში ამოვალაგე ჩემი ბარგი.

— წნევა თუ გაქვს? — მკითხა ექიმმა, რომელსაც ვერ გაეგო, გულმოსული ვიყავი თუ „პახმელია“.

— წნევაც მაქვს, დიაბეტიც და რადიკულიტიც!..

— აუ ... შევცოდე ექიმს... ეს რადიკულიტი რაღა უბედურებაა.. არ დაგერიოს თუ არა... ვიცი მე მაგი, გამოდგილი მაქვს!

— გშველის რამე, ექიმო?

— ცხელი უთოს მეტი არაფერი!

— კაი, ერთი...

—დედა ნუ მომიკვდება!

— შენით იუთოვებ თავს თუ გაყავს ვინმე გამუთოვებელი? — ეკითხე მე. ექიმი ისეთი მგრძნობიარე კაცი აღმოჩნდა, რომ ვერც მე მოვცილდი და არც იმან მოიცილა.

ჩამოსვლის დღიდან ვაპირებდი ზღვაზე გასვლას, მაგრამ გაგონილა?.. ვერა და ვერ მოვახერხე ტყაპ-ტყუპა ფლოსტებით და კანტიანი პიჟამოთი პლაჟზე გასვლა და სელაპივით თანამოძმეთა შორის წყლიდან სილაში ამოგორება.

— ბატონო ლავრენტი, დღეს პატივი უნდა მცეთ და გამოქვაბულში უნდა მეწვიოთ!

— გამოქვაბულიდან ძლივს გამოვედით ბატონო!.. — ხუმრობა ვცადე მე.

— ამ მხარეში უკეთეს რესტორანს ვერ ნახავთ, ვახსენოთ ჩვენი წინაპარი...

წარმოვიდგინე ჩემი წინაპარი, უმ ხორცს რომ ჭამდა გამოქვაბულში და დათქმულ დროს, ამ ცნობილ რესტორანში თვალი კინაღამ წამოვიგდე შამფურით...

მეორე დღეს ერთ დიდ (ყოველ შემთხვევაში, შესახედად), დიდ კაცს ვიღაც თანამშრომელმა მოაკითხა, და ვიქეიფეთ. მერე ერთმა კაცმა შვილიშვილის სამედიცინოზე მოწყობის ბანკეტის გაგრძელება გამართა და... ორჯერ ფაცხაში გავიჭვარტლეთ...

ერთი დღე ფხიზელი ვიყავი და კინაღამ გადავირიე, ამდენი თავეკარული, „პახმელიაზე“ გაუბედურებული კაცი ერთად არასდროს არ მინახავს.

ბოლო დღეს ჩვენმა „დინამომ“ არ წააგო და ის აღვნიშნეთ. წამოსვლისას ჩეხური ლუდი მოვიმარაგეთ და გორამდე სულ „მამინო მყავდა მიყვარდას“ სიმღერით მოვაღწიეთ... ბოლოს ცოტა ჩავთვლიმეთ და დილას...

— უი!.. ლავრენტი, რა ფერ გათეთრებულხარ, — მითხრა მეუღლემ და ჩაიცინა.

სანატორიუმში სიცხეებს მაძლევდა-მეთქი, მიუუგე.

რა ვქნა? თუ მივლინებაში წავედი, უარესია. ისევ უხელფასო შვებულებას ვითხოვ ცოტა ხანს, სახლში ჩავიკეტები და პატარას დავისვენებ....

• •

...მერე... დავწექი და 12 საათი ვიძინე, რატომღაც მეც ლომები მესიზმრებოდა... ლომებს ლუდის კათხები ეპყრათ და ნელ-ნელა ჩემს გარშემო ჯკრავდნენ წრეს... შორი-ახლოს იდგა ჰემინგუეი.

გამოვიღიმა, თვალი ჩამიკრა და მკითხა:

— მოხუცო, ზღვა ნახე?

— ?!. დიდ მწერალს ტყუილი ვერ ვკადრე... და მორცხვად თავი ჩავქინდრე.

რეზო დვალიშვილი.



თბილისური ლირიკული... ა. საკაკოვის ფოტო.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲬᲘᲡᲘ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲐᲢᲠᲘᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

ᲠᲝᲛᲝᲠᲘᲡ საჭადრაკო მიმომხილველი რობერტ იუწყება, სმისლოვ-რიბლის მატჩს მაიმცდამაინც ბევრი მაყურებელი არ ესწრებოდა, მაგრამ მსოფლიოს ექსჩემპიონის ბრწყინვალე გამარჯვებამ მეზუთე პარტიაში სრულიად შეცვალა ვითარება.

შეექცა პარტიაში სმისლოვმა შავებით სლავურ დაცვას მიმართა. რიბლიმ უკეთესი პოზიცია მიიღო, მსოფლიო ექსჩემპიონს კი შეუპოვარი თავდაცვა დასჭირდა. შემდეგში სმისლოვმა პაიკის შეწირვით მაინც გაათანაბრა პოზიცია და მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. უნგრელმა დიდოსტატმა უარყო ეს წინადადება. მის შემდეგ, რაც სმისლოვი მცირე ციტეტოტს დაუსხლტა და თეორიას უკვე აღარ ჰქონდათ მოგებისათვის თამაშის არავითარი შესაძლებლობა, ამ შეხვედრაში ყაიმი აღინიშნა.

ანგარიში გახდა 3,5:2,5 სმისლოვის სასარგებლოდ.

ᲓᲣᲑᲜᲐ

ᲛᲔᲪᲮᲠᲔ პარტიაში ლევიტინამ შავებით, ამ მატჩში უკვე მეორედ, ძველინდური დაცვა აირჩია და კვლავ სასტიკი მარცხი იგემა.

17 სვლის შემდეგ, ექსპერტების საერთო შეფასებით, შავების პოზიცია სტრატეგიულად უიმედო იყო. ლევიტინამ დათმო ხარისხი, მაგრამ ამას მისი მდგომარეობა არ შეუმსუბუქებია. 39-ე სვლაზე შავებმა შეწყვიტეს წინააღმდეგობა.

ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ — ᲚᲔᲕᲘᲢᲘᲜᲐ
ძველინდური დაცვა

1. d4 Ჲf6 2. Ჲf3 g6 3. c4 ᲲgᲬ7 4. Ჲc3 0-0 5. e4 d6 6. ᲲeᲬ2 e5 7. 0-0 eᲫd4 8. ᲫᲫd4 ᲲeᲬ8 9. f3 c6 10. ᲫᲬh1 a6 11. ᲲgᲬ5 h6 12. ᲲhᲬ4 b5 13. a3 ᲚbᲬ6 14. ᲲfᲬ2 ᲚbᲬ7 15. Ძb3 bᲫc4 16. Ძa5 ᲚcᲬ7 17. ᲫᲫc4 d5 18. Ძb6 ᲲbᲬ7 19. ᲫᲫa8 ᲲᲫa8 20. Ჲd3 ᲚbᲬ7 21. ᲚcᲬ2 Ძbd7 22